



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

11 შთხ 2023 წელი

N 28/36

ეგზ. N 1

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	7
	1. შესავალი	9
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	10
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	10
	აუდიტის საგანი	10
	აუდიტის მასშტაბი	10
	აუდიტის კრიტერიუმები	11
	აუდიტის მიზანი	12
	აუდიტის მეთოდოლოგია	12
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	12
	2. აუდიტის მიგნებები	13
დანართები	დანართები	48
	საკონტაქტო ინფორმაცია	56

ტერმინები და შემოკლებები

- ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.
- მერია – დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია.
- მუნიციპალიტეტი – თვითმმართველი ერთეული – დუშეთის მუნიციპალიტეტი.
- საკრებულო – დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- შემსყიდველი ორგანიზაცია – დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია.
- შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ბიუჯეტის შესრულების ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ბიუჯეტის გადასახდელების, მათ შორის, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება. აღნიშნული საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 31% დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.

შესყიდვების მართვა

ხარვეზებით მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. კერძოდ, 3,711.1 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, სამუშაოების ნაწილზე არ არის მიღწეული დადგენილი ხარისხი, რის გამოც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

ბაზრის კვლევის ხარვეზები

მერია, 52 შესყიდვის შემთხვევაში, ვერ უზრუნველყო შესყიდვების პროცესის სწორად წარმართვა, სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა და მიმწოდებლების შერჩევა სათანადო ბაზრის კვლევის საფუძველზე, მათ შორის, 5 შემთხვევაში ხელშეკრულებები გაუფორმდათ ისეთ მიმწოდებლებს, რომელთა გამოცდილების შესახებ მერია ინფორმაციას არ ფლობდა. აღნიშნულმა კომპანიებმა ვერ შეძლეს სამუშაოების დასრულება და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

მიმწოდებლების შერჩევის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნების დაცვა; მერიამ მიმწოდებლები შეარჩია და ხელშეკრულებები გააფორმა ისეთ კომპანიებთან, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება. შედეგად, 1,868.3 ათასი ლარის სამუშაოები ვერ შესრულდა, ხელშეკრულებები შეწყდა და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი სარგებელი.

კონკურენციის შეზღუდვა

მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართა ხარვეზებით და დაარღვია მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი. სატენდერო პირობები მოიცავდა შემზღუდავ და ბუნდოვან მოთხოვნებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვია პოტენციურ მიმწოდებელთა ბაზრის შეზღუდვა და სახელმწიფო შესყიდვების მორგება კონკრეტული მეწარმე სუბიექტის ინტერესებზე.

პრეტენდენტის კანონშესაბამო დისკვალიფიკაცია

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტის არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად

მუნიციპალიტეტმა დაკარგა 36.7 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

გამოყენებული საპროექტო დოკუმენტაცია

მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას შეისყიდა 114.8 ათასი ლარის ღირებულების ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც არ გამოყენებია. პროექტების შეძენაზე გაწეული ხარჯი შეიძლება ჩაითვალოს არაეფექტიან ხარჯად. ამასთანავე, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და სხვადასხვა გარემოების (მათ შორის, ობიექტის მდგომარეობა) ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა

მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად ზრდიდა მიწოდების ვადებს და აზიანებდა შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს.

გამოყენებული პროექტები

მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობს ხარვეზებით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა, არაეფექტიანად დახარჯა 466 ათასი ლარი და პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

დაურიცხავი და მიუღებელი ჯარიმები

ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირების პროცესში მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები. მერიამ მიმწოდებლებს არ დაარიცხა საჯარიმო თანხა – 28.4 ათასი ლარი, ასევე ვერ უზრუნველყო 330.3 ათასი ლარის დარიცხული პირგასამტეხლოს მიღება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები გააფორმა საზოგადოებრივი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების საფუძვლით, თუმცა ვერ უზრუნველყო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოების დროული შესრულება. შესაბამისად, მოსახლეობას ინფრასტრუქტურული სერვისი მიეწოდა დაგვიანებით. 2020 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ შესრულდა 66%-ით, ხოლო 2021 წელს – 69%-ით.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

დაგეგმვასა და კონტროლში არსებული მართვის სისუსტეების გამო, მუნიციპალიტეტი დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მართავდა ხარვეზებით, კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება; რიგ შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება.

**იურიდიული პირების
მართვა**

მუნიციპალური სერვისების მიწოდება

ქონების მართვა და განკარგვა

წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია. სასმელი წყლის მიწოდებას ახორციელებს არალიცენზირებული პირი; მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება; დაწესებული არ არის წყლის გადასახადი, რის გამოც საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება.

ქონების განკარგვის ხარვეზები

ქონების განკარგვის პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ნაკლოვანებებით: ქონების ნაწილს, შესაბამისი ხელშეკრულების გარეშე, იყენებენ არაუფლებამოსილი პირები და ქირას მუნიციპალიტეტს არ უხდიან.

მუნიციპალური შპს-ები მათზე უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემულ ქონებას სასყიდლიანი სარგებლობით გასცემენ მუნიციპალიტეტთან შეთანხმების და ქონების გაქირავების რეალური საბაზრო ფასის დადგენის გარეშე.

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების, მატერიალური ფასეულობებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მუნიციპალიტეტის დადგენილებით განსაზღვრულ ოდენობას. მუნიციპალიტეტში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვას, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული თანხები

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად 111.8 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა

მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რა აუცილებელი საჭიროებით იყო განპირობებული მემორანდუმის ფორმით 20.0 ათასი ლარის საფინანსო-საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა. მერია ვალდებული იყო პირველ რიგში გამოეყენებინა საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო მოხელეების პროფესიული განვითარების საჭიროებისას, მომსახურება შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საბიუჯეტო პროცესი

საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

მერიაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესი წარიმართა სხვადასხვა ხასიათის

ხარვეზით. დაინტერესებულ პირებს არ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამების შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ, არ შესრულდა საკანონმდებლო მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისთვის.

მმართველობითი გადაწყვეტილებები

მუნიციპალიტეტის საჯარო ზედამხედველობის ხარვეზები

კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, მერიამ ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობის ფაქტების დადგენა და სათანადო რეაგირება. შედეგად, უნებართვო მშენებლობის ფაქტები მერიამ – დაგვიანებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საერთოდ ვერ გამოავლინა და მშენებლობის შეჩერების მიზნით არ განახორციელა სათანადო რეაგირება.

საბანკო მომსახურების შესყიდვის ნაკლოვანება

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს ემსახურებოდა ბანკი, რომელიც ანგარიშზე ფულადი რესურსების განთავსების სანაცვლოდ ურიცხავდა სარგებელს. მერიამ არ ჩაატარა ბაზრის კვლევა საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად, რომელიც მუნიციპალიტეტს მოუტანდა დამატებით ფინანსურ სარგებელს.

მოსაკრებლები

დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირების ხარვეზები

მერია ვერ უზრუნველყოფდა საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული დასუფთავების მოსაკრებლის სათანადოდ ადმინისტრირებას. შედეგად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო 111.6 ათასი ლარის მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია შესაბამისი რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვისა და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას.

რეკომენდაცია №3: მერიამ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზრის კვლევის სათანადო ჩატარება. მერიამ ბაზრის კვლევის პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებებისა და პოტენციური მიმწოდებლების შესახებ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას საბაზრო ღირებულების შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას, გამოცდილი/კვალიფიციური მიმწოდებლების შერჩევასა და შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების დაცვას.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთანავე, მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის ავტორის და საექსპერტო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებშიც სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას; მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

რეკომენდაცია №6: მერიამ შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების,

დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები; ამასთანავე, მერიამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები კუთვნილი საჯარიმო თანხების მისაღებად.

გეგმა-გრაფიკებით დადგენილი პირობების დაუცველობის შემთხვევაში, მერიამ გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაოების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დასრულებასა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

რეკომენდაცია №7: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა, ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია №8: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №9: მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. ამასთანავე, მუნიციპალური ქონების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა დაადგინონ მიყენებული ზარალის ოდენობა და გაატარონ სათანადო ღონისძიებები მის ასანაზღაურებლად.

რეკომენდაცია №10: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

რეკომენდაცია №11: მერიამ უზრუნველყოს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის საკრებულოს დადგენილებასთან შესაბამისობაში

მოყვანა, ასევე საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, დანერგოს კონტროლის მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები; მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

რეკომენდაცია №12: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით, მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №13: მერიამ, სამშენებლო სამუშაოებზე საჯარო ზედამხედველობის სათანადოდ განხორციელების მიზნით, დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიმდინარე მშენებლობების ინტენსიურ მონიტორინგს და უნებართვო მშენებლობების დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №14: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას; მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელს.

რეკომენდაცია №15: მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებულ რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდასა და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შესაბამისობადაც ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, დუშეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობა

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:¹

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №656 ბრძანებულება „კურორტ ბაზალეთის ტბის სანიტარიული დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

¹ 2020-2021 წლებში მოქმედი რედაქციით.

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვ.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 18 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც აერთიანებს 288 სოფელს, 2 დაბასა და ადმინისტრაციულ ცენტრს – ქ. დუშეთს.² მუნიციპალიტეტის ფართობია 2982 კვ. კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 26.1 ათას კაცს.³

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები – 5,851.5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის განვითარება – 20,649.0 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 1,252.0 ათასი ლარი; განათლება – 9,608.8 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი – 2,027.5 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 2,389.0 ათასი ლარი.

² ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

³ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge - 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

2.1.1 ბიუჯეტის

შესრულების ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁴

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁵

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020-2021 წლების შემოსულობებმა – 44,975.9 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 41,777.8 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის გეგმური და ფაქტობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში №1:

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2020-2021 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2020 წლის გეგმა	2020 წლის ფაქტი	შესრ ულების %	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრ ულების %	სულ ფაქტი
შემოსულობები	23 323,1	23 629,6	101%	19 476,2	21 346,3	110%	44 975,9
შემოსავლები	23 323,1	23 216,4	100%	18 920,8	20 671,0	109%	43 887,4
არაფინანსური აქტივების კლება	0,0	413,2		498,0	617,9	124%	1 031,1
ფინანსური აქტივების კლება	0,0	0,0		57,4	57,4	100%	57,4
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0		0,0	0,0		0,0
გადასახდელები	28 157,5	21 562,3	77%	26 111,8	20 215,5	77%	41 777,8
ხარჯები	8 229,5	7 735,2	94%	10 216,8	9 150,4	90%	16 885,6
არაფინანსური აქტივების ზრდა	19 868,1	13 767,2	69%	15 835,1	11 005,2	69%	24 772,4
ვალდებულებების კლება	59,9	59,9	100%	59,9	59,9	100%	119,8
ნაშთის ცვლილება	-4 834,4	2 067,3		-6 635,6	1 130,8		

ორივე საბიუჯეტო წლისათვის მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების მუხლები, კერძოდ:

- მერიამ სათანადოდ ვერ დაგეგმა/გაითვალისწინა შემოსულობების მოსალოდნელი/ფაქტობრივი შესრულება და 2021 წელს ბიუჯეტის

⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6. პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

შემოსულობების გადაჭარბებამ გეგმასთან მიმართებით, 1,870.1 ათასი ლარი შეადგინა.⁶ აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წლის 29 დეკემბერს გრანტების სახით მიღებულია 300.0 ათასი ლარი, რომლის დაგეგმვასა და ბიუჯეტში ასახვას იმავე წელს მუნიციპალიტეტი ვერ განახორციელებდა.

- მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული დაგეგმილი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, სკოლების, საბავშვო ბაღების, წყლის სისტემებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები; ასევე არასათანადოდ არის შესრულებული „ხარჯების“ მუხლი, კერძოდ, დაგეგმილზე ნაკლები ოდენობით შესრულდა „საქონლის და მომსახურების“, „სუბსიდიებისა და სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლები.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს, კერძოდ, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 5,220.8 ათასი ლარი. 2020 წლისათვის დაიგეგმა 4,834.4 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ფულადი სახსრების დაგროვებამ 2,067.3 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 7,288.1 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 1,993.5 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.⁷ 2021 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 6,635.6 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 1,130.8 ათასი ლარი. შედეგად, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 8,418.9 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 3,266.2 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/ვალდებულებების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

2.2 შესყიდვების მართვა

2.2.1 ხარვეზებით მოწყობილი

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული

⁶ კონების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება.

⁷ თავისუფალი ნაშთი - ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის; საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6.

ინფრასტრუქტურული პროექტები

შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა 766 ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ღირებულებით – 24,772.4 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამუშაოს მიმღები კომისია.⁸ ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის⁹ მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა ექსპერტიზის დადებითი დასკვნების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. კერძოდ, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად¹⁰ დაათვალიერა ინფრასტრუქტურული პროექტები. გამოვლინდა, რომ სამუშაოების ნაწილს აღენიშნებოდა ხარვეზები. მაგალითად, 2020 წელს მუნიციპალიტეტმა 103.4 ათასი ლარად¹¹ შეისყიდა სოფელ ჭართალში საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები. დათვალიერებით გამოვლინდა, რომ ობიექტი დაზიანებულია და აღენიშნება ხარვეზები.¹²

გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 16 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 3,607.7 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საბავშვო ბაღები, სკოლები, საგზაო და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები (იხ. დანართი №1).

ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზებით შესრულებული სამუშაოები, ძირითადად, აღნიშნული სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენა საექსპერტო დაწესებულებასა და მიმღებ კომისიას ევალებოდა. დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს მათი პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

აღსანიშნავია, რომ დათვალიერების მომენტისათვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა.¹³ მერიის შესაბამის სამსახურს

⁸ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე იქმნება მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისია.

⁹ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტების შემთხვევაში, სამუშაოებს ამოწმებდა შპს „მშენებელსპერტი“.

¹⁰ 2022 წლის 5-7 სექტემბერი.

¹¹ CMR200124318.

¹² რადიატორებიდან ჟონავს სითხე, გათბობის სისტემა არ მუშაობს.

¹³ დათვალიერების თარიღისთვის 13 ობიექტს გააჩნდა მოქმედი საგარანტიო ვადა.

სათანადოდ არ ჩაუტარებია ობიექტების მონიტორინგი, რაც საშუალებას მისცემდა, დროულად გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მოეთხოვა მათი გამოსწორება. მერიას მხოლოდ 3 შემთხვევაში ჰქონდა გამოვლენილი ხარვეზები და მიმართული მიმწოდებლებისთვის გამოსწორების მოთხოვნით.¹⁴

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 3,711.1 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლუატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, არ გამოავლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას.

2.2.2 ბაზრის კვლევის ხარვეზები

კრიტერიუმი: შემსყიდველმა ორგანიზაციამ, ყოველი კონკრეტული შესყიდვის ჩატარებამდე, უნდა განახორციელოს ბაზრის კვლევა, ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით. მუნიციპალიტეტმა ბაზრის კვლევის პროცესი უნდა წარმართოს იმგვარად, რომ მას შეეძლოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებების, მათ შორის, პოტენციურ მიმწოდებელთა ვინაობის, არეალის, მათი შესაძლებლობების, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლების, მიწოდების პირობებისა და ვადების, ასევე შესყიდვის სავარაუდო ღირებულების თაობაზე.¹⁵

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მერია არ ითვალისწინებდა შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციებს, მიმწოდებლების შერჩევისა და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისათვის. კერძოდ, შესწავლილი 67 შესყიდვიდან¹⁶ ბაზრის კვლევა არასათანადოდ ჩატარდა 52 შესყიდვის შემთხვევაში (იხ. დანართი №2):

- 13 სახელმწიფო შესყიდვისათვის მერიამ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია ბაზრის კვლევის შესახებ. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების განმარტებით, დოკუმენტაცია არ იძებნება ან კვლევა ჩატარდა ზეპირი

¹⁴ მიუხედავად მიმართვისა, ობიექტზე ხარვეზები გამოსწორებული არ არის, 4 ობიექტთან დაკავშირებით მერიას საერთოდ არ მიუმართავს მიმწოდებლებისთვის. აუდიტის მიმდინარეობისას, მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა სულ 13 მიმწოდებელს, საიდანაც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, 10 შემთხვევაში კომპანიებმა არ გამოასწორეს ხარვეზები და მერია აპირებს სასამართლოში დავის დაწყებას მათ წინააღმდეგ, მათ შორის 3 შემთხვევაში ხარვეზები გამოსწორდა თავად მუნიციპალიტეტმა საკუთარი ხარჯით,

¹⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 6, „ე“ ქვეპუნქტი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ბაზრის კვლევისთან დაკავშირებით.

¹⁶ 20 ათას ლარზე მეტი ღირებულების შესყიდვები, ჯამური სავარაუდო ღირებულებით - 5,873.3 ათასი ლარი.

ფორმით – შესყიდვების სისტემის მონაცემების, სატელეფონო საუბრის ან მიმწოდებლებთან გამართული შეხვედრის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა ბაზრის კვლევას ითვალისწინებს მხოლოდ დოკუმენტური სახით. ამასთანავე, საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტები მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და თვითმმართველი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს მათი სათანადო დაცვა-შენახვა;¹⁷

- 33 სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა ბაზრის კვლევაზე გაგზავნილია მხოლოდ ერთი კომპანიისთვის;
- 6 სახელმწიფო შესყიდვისათვის მერიამ მოთხოვნა ბაზრის კვლევაზე გააგზავნა 2 ან მეტ კომპანიასთან, მაგრამ სათანადო ინფორმაცია არ მიუღია. კერძოდ, პრეტენდენტებმა მონაცემები არ წარმოადგინეს ან მონაწილეობდა მხოლოდ ერთი პრეტენდენტი.

არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევის გამო არსებობს რისკი, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმდა საბაზრო ღირებულებაზე მაღალ ფასად და/ან გამოუცდელ კომპანიებთან.

მაგალითად:

- მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის რეაბილიტაციის/მოწყობის სამუშაოების შესყიდვისათვის 2019 წელს გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები¹⁸ გააფორმა შპს „ტექნოკონსტრაქშენთან“ და შპს „თნ გრუფთან“. მერიამ აღნიშნული შესყიდვებისთვის ბაზრის კვლევის სათანადო დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. შესწავლით გამოვლინდა, რომ შპს „ტექნოკონსტრაქშენი“ ხელშეკრულებების გაფორმების პერიოდისთვის²⁰ ახალი დაფუძნებული საწარმო იყო და არ გააჩნდა სახელმწიფო შესყიდვების გამოცდილება, ხოლო შპს „თნ გრუფის“ გამოცდილების შესახებ მერია ინფორმაციას არ ფლობდა. მიმწოდებლებმა ვერ შეძლეს სამუშაოების შესრულება და მუნიციპალიტეტმა შეწყვიტა ხელშეკრულებები.²¹ არსებობს რისკი, რომ შერჩეულ კომპანიებს არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება, რამაც სამუშაოების დაუსრულებლობა გამოიწვია;
- 2019 წლის დეკემბერში მერიამ შპს „პარვეს კონსტრაქშენისაგან“ გამარტივებული შესყიდვით შეისყიდა შატილში სკოლის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ღირებულებით – 60.0 ათასი ლარი.²² მერიამ ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია. შედეგად, აუდიტის ობიექტი ვერ ადასტურებს, რამდენად საბაზრო ფასის შესაბამისად განახორციელა აღნიშნული მომსახურების შესყიდვა;
- მუნიციპალიტეტმა 2020 წლის დეკემბერში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა ხელშეკრულება შპს „გოლდენ როუდთან“²³ ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დაზიანებული

¹⁷ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილება „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 12.

¹⁸ CMR190141918, CMR190178573, CMR190204195, CMR190204193, CMR190204192.

¹⁹ შპს „ტექნოკონსტრაქშენი“ - ს/კ 405342071, შპს „თნ გრუფი“ - ს/კ 400227580, ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით - 567.8 ათასი ლარი.

²⁰ დაფუძნდა 2019 წლის 27 ივნისს.

²¹ 2020 წლის თებერვალ-აპრილში.

²² CMR190199745.

²³ ს/კ 404851754.

ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით, ღირებულებით – 91.0 ათასი ლარი.²⁴ მერიამ ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის ინფორმაცია მიმწოდებლის გამოცდილების/კვალიფიკაციის შესახებ; მერია ვერ ადასტურებს, რატომ შეარჩია აღნიშნული კომპანია სამუშაოების შესასრულებლად. სამუშაოები დასრულდა 4 თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით;

- 2019 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „მშენებსპერტან“ გააფორმა ხელშეკრულება 2019-2020 წლებში ინფრასტრუქტურული ობიექტების²⁵ სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით, ღირებულებით – 722 ათასი ლარი.²⁶ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევის საფუძველზე. კერძოდ, მერიამ კვლევისათვის მიმართა მხოლოდ ერთ პირს – შპს „მშენებსპერტან“. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის ბოლოს ათვისებული იყო სახელშეკრულებო ღირებულების მხოლოდ 47.7%. მუნიციპალიტეტმა 2020 წლის დეკემბერში ცვლილება შეიტანა ხელშეკრულებაში, შეცვალა შესყიდვის ობიექტი და შპს „მშენებსპერტან“ დაევა 2021 წლის ინფრასტრუქტურული ობიექტების ზედამხედველობაც. ამდენად, მერიამ მომსახურების ფასი დაადგინა ისე, რომ ბაზრის კვლევა არ ჩაუტარებია; ასევე ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასაბუთება, რატომ არ გამოცხადდა ახალი ტენდერი 2021 წლის მომსახურების შესყიდვისათვის.²⁷

დასკვნა

მერიამ შესყიდვების პროცესში არ განახორციელა ბაზრის კვლევა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. შემსყიდველი ვერ ადასტურებს, რამდენად რეალური საბაზრო ღირებულებების შესაბამისად განახორციელა შესყიდვები და ამასთანავე, ვერ წარმოადგინა ინფორმაცია მიმწოდებლების შერჩევის საფუძველზე. შედეგად, ხელშეკრულებები გაუფორმდა ისეთ მიმწოდებლებს, რომელთა გამოცდილების შესახებ ინფორმაციას მერია არ ფლობდა. ხუთ შემთხვევაში კომპანიებმა ვერ შეძლეს სამუშაოების დასრულება და მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი პროექტი; ასევე არსებობს რისკი, რომ მერიამ შესყიდვები განახორციელა არასაბაზრო ღირებულებებზე დაყრდნობით და გასწია არაეკონომიური ხარჯი.

რეკომენდაცია №3

მერიამ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ბაზრის კვლევის სათანადო ჩატარება. მერიამ ბაზრის კვლევის პროცესი წარმართოს იმგვარად, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლოს მაქსიმალურად სრულყოფილი სურათი ბაზარზე არსებული შემოთავაზებებისა და პოტენციური მიმწოდებლების შესახებ. აღნიშნული, თავის მხრივ, განაპირობებს შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრას საბაზრო ღირებულების შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას, გამოცდილი/ კვალიფიციური მიმწოდებლების შერჩევასა და შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების დაცვას.

²⁴ CMR200151594.

²⁵ 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების.

²⁶ NAT190017583.

²⁷ 2019-2021 წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში საზედამხედველო მომსახურების ფასი შესამოწმებელი სამუშაოების ღირებულების 3.8% იყო, ხოლო ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტებში აღნიშნული მომსახურების ფასი 2021 წლისათვის უფრო ნაკლები იყო, ვიდრე დუშეთის მუნიციპალიტეტში: კერძოდ, თიანეთში - 1.99%, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში - 2.25% (NAT210003359, NAT210004395).

2.2.3 მიმწოდებლების შერჩევის ხარვეზები

კრიტერიუმი: ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპზე სატენდერო კომისიას ევალება შეაფასოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა სატენდერო პირობებთან. გამარჯვებულად ითვლება ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტი, რომლის ტექნიკური დოკუმენტაცია აკმაყოფილებს სატენდერო მოთხოვნებს.²⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების ნაწილში მიმწოდებლებმა ვერ შეძლეს სამუშაოების დასრულება. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და შეწყვეტის მიზეზები. გამოვლინდა, რომ 2 შემთხვევაში ხარვეზს ხელი შეუწყო სატენდერო კომისიის შეუსაბამო გადაწყვეტილებებმა. კერძოდ, კომისია არ ითვალისწინებდა სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს:

- 2020 წლის 25 მარტს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი²⁹ ქალაქ დუშეთის მე-3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებზე, სავარაუდო ღირებულებით – 927 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციაში კომისიას მოთხოვნილი ჰქონდა 5,561.9 ათასი ლარის შენობის მშენებლობა/რეაბილიტაციის, ასევე ეზოების, სკვერების, მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოების გამოცდილება. შეფასების ეტაპზე ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „სინერჯი სისტემს“. კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მიმწოდებლის გამოცდილება არასაკმარისი იყო და არ აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს.³⁰ მიმწოდებელმა სამუშაოები ვერ შეასრულა და ხელშეკრულება შეწყდა;³¹
- მუნიციპალიტეტმა 2020 წლის აგვისტოში გამოაცხადა ტენდერი ლომისის ტაძართან არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურისა და გზის მოწყობასთან დაკავშირებით.³² პროექტი ითვალისწინებდა საცხოვრებელი შენობის აშენებას. სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო 2,000.0 ათას ლარამდე შენობებისა და გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოების გამოცდილება. მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები და გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ელიტ ბილდერს გრუპი“, რომელსაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შენობების მშენებლობის გამოცდილება საერთოდ არ გააჩნდა. საბოლოოდ, საწარმომ ვერ შეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება და ხელშეკრულება შეწყდა.³³

²⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, 27-ე და 29-ე მუხლები.

²⁹ NAT200006531; ხელშეკრულების ღირებულება 832.8 ათასი ლარი.

³⁰ შემსყიდველმა კომპანიას გამოცდილებად ჩაუთვალა NAT180021043 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. შესყიდვების სისტემაში განთავსებული ინფორმაციის შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში მიმწოდებელს მიღებული აქვს მრავალი გაფრთხილება, დაჯარიმებულია სამუშაოების არაჯეროდან შესრულების გამო, ხელშეკრულებას კი მინიჭებული აქვს შეუსრულებელი ხელშეკრულების სტატუსი.

³¹ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 ნოემბრის №4345/ს ბრძანება. მიმწოდებელს აუნაზღაურდა 249.3 ათასი ლარი; ასევე მიმწოდებელს დაეკისრა ჯარიმა 34.2 ათასი ლარი, რომელიც არ არის გადახდილი.

³² NAT200012871. სახელშეკრულებო ღირებულება 1,035.5 ათასი ლარი.

³³ მიმწოდებელს აუნაზღაურდა 348.4 ათასი ლარი. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 დეკემბრის №8132.132213561 ბრძანებით მიმწოდებელს დაეკისრა ჯარიმა 99.9 ათასი ლარი, საიდანაც მხოლოდ 17.1 ათასი ლარია გადახდილი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნების დაცვა; ხელშეკრულებები გააფორმა და მიმწოდებლები შეარჩია იმგვარად, რომ არ ჰქონდა სათანადო დასაბუთება მათი გამოცდილების შესახებ. შედეგად, 1,868.3 ათასი ლარის სამუშაოები ვერ შესრულდა და ხელშეკრულებები შეწყდა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა დროულად ვერ მიიღო დაგეგმილი სარგებელი.

2.2.4 კონკურენციის შეზღუდვა

კრიტერიუმი: შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების დროს ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე სატენდერო პირობების განსაზღვრა, შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენცია და პრეტენდენტთა მიმართ პროპორციული, ერთგვაროვანი მიდგომა.³⁴

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა, შატილის სკოლა-პანსიონის მშენებლობის მიზნით, 2019 წლის დეკემბერში გამარტივებული შესყიდვით შეიძინა საპროექტო დოკუმენტაცია შპს „პარვუს ქონსალთინგისგან“,³⁵ ღირებულებით – 60.0 ათასი ლარი.³⁶ მიმწოდებელი ხელშეკრულების გაფორმების თარიღისთვის ახლად დაფუძნებული იყო³⁷ და სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში არ გააჩნდა საპროექტო მომსახურების შესრულების გამოცდილება.³⁸ ხელშეკრულება გაფორმდა 2019 წლის 23 დეკემბერს, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მიმწოდებელმა 1,505.0 ათასი ლარის ღირებულების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შეადგინა 2 დღის ვადაში³⁹ და მუნიციპალიტეტს წარმოუდგინა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში.⁴⁰ ამასთანავე აღსანიშნავია, რომ პროექტი დათარიღებულია 2019 წლის 20 დეკემბრით. შპს „პარვუს ქონსალთინგმა“ წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებამდე მოამზადა შატილის სკოლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესასყიდად ტენდერი გამოაცხადა 2020 წლის მაისში.⁴¹ სამუშაოების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად. ტენდერში გაიმარჯვა და 2020 წლის 16 ივლისს ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „პარვუს ჯგუფს“,⁴² რომელიც წარმოადგენს საპროექტო ორგანიზაციის – შპს „პარვუს კონსალთინგის“ მესაკუთრეს.⁴³ აღნიშნული შეიცავს პროექტისა და, შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულების ხელოვნურად გაზრდის რისკებს. გარდა ამისა, პროექტით განსაზღვრული იყო სამუშაოების მიწოდების 6-თვიანი ვადა, თუმცა შემსყიდველმა დრო მნიშვნელოვნად შეამცირა და მიწოდების ვადად განსაზღვრა 2020 წლის 1 სექტემბერი.⁴⁴ აღნიშნული

³⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, მუხლი 18.

³⁵ ს/კ 404585365.

³⁶ CMR190199745.

³⁷ 30/09/2019.

³⁸ აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია, რა კრიტერიუმებით შეარჩია აღნიშნული კომპანია და როგორ განისაზღვრა შესყიდვის ღირებულება.

³⁹ პროექტი საექსპერტო ორგანიზაციას წარედგინა 2019 წლის 25 დეკემბერს.

⁴⁰ 2019 წლის 30 დეკემბერი.

⁴¹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 5 მარტის №456 განკარგულება; NAT200007528; სახელშეკრულებო ღირებულება – 1,489.4 ათასი ლარი.

⁴² ს/კ 400266519.

⁴³ სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა თვე-ნახევარი.

⁴⁴ აღსანიშნავია, რომ მერიამ სამუშაოების შესრულების ვადა მიმწოდებელს დამატებითი სამუშაოებისა და საპროექტო ხარვეზების გამო – 1 თვით, ხოლო უამინდობის მიზეზით, 13 დღით გაუზარდა.

დასკვნა

ქმედებით სატენდერო კომისიამ პრეტენდენტებისათვის დამაბრკოლებელი გარემოება შექმნა. კერძოდ, ვინაიდან სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და მიწოდების ვადა დამოკიდებული იყო შერჩევა-შეფასების ეტაპისთვის საჭირო დროზე, პოტენციური პრეტენდენტები ვერ განსაზღვრავდნენ სამუშაოების მიწოდების ვადის კალენდარული დღეების ზუსტ რაოდენობას. არსებობს რისკი, რომ ბუნდოვანი და შემზღუდველი სატენდერო პირობების გამოყენებით მუნიციპალიტეტმა შეამცირა პოტენციურ პრეტენდენტთა არეალი და ზემოაღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა მოარგო კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებს.

მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართა იმგვარად, რომ დაარღვია მონაწილეთა შორის ჯანსაღი კონკურენციის პრინციპი. შემსყიდველის მიერ განსაზღვრული სატენდერო პირობები მოიცავდა შემზღუდავ და ბუნდოვან მოთხოვნებს, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვია პოტენციურ მიმწოდებელთა ბაზრის შემცირება და სახელმწიფო შესყიდვების მორგება კონკრეტული მეწარმე სუბიექტის ინტერესებზე.

2.2.5 კანონშესაბამო დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია მიმართავს პრეტენდენტს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით. სატენდერო კომისია ვალდებულია ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.⁴⁵

ფაქტობრივი გარემოება: 2021 წლის ივნისში მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი⁴⁶ სოფელ საკრამულში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისთვის, ღირებულებით – 770.9 ათასი ლარი. სატენდერო პირობების მიხედვით, პრეტენდენტს უნდა ჰქონოდა ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, არანაკლებ, 3,469.3 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტმა დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს მისცა დისკვალიფიკაცია და ხელშეკრულება გაუფორმა მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტს.

ტენდერში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „უნივერსალ სერვისმა“ – 720.1 ათასი ლარის ოდენობით. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მოსთხოვა გამოცდილების დაზუსტება, თუმცა კონკრეტულად არ მიუთითებია დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. შპს-მ ვერ დააზუსტა ტექნიკური დოკუმენტაცია, რის გამოც კომისიამ დისკვალიფიკაცია მიანიჭა. პრეტენდენტმა შემსყიდველის გადაწყვეტილება გაასაჩივრა შესყიდვების სააგენტოში, რაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.⁴⁷ საბჭომ მიუთითა, რომ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები მომზადებული იყო ხარვეზებით და არ მოიცავდა ინფორმაციას დასაზუსტებელი პოზიციის შესახებ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტს დაევალა გადაეხედა სხდომის ოქმებისთვის და დაესაბუთებინა მიღებული გადაწყვეტილება. სატენდერო კომისიამ საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად იმსჯელა ოქმებზე, თუმცა გადაწყვეტილება დატოვა უცვლელი.

⁴⁵ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 27, პუნქტი 5.

⁴⁶ NAT210010000.

⁴⁷ DIS210010000_01(NAT).

დასკვნა

ამდენად, სატენდერო კომისიამ განახორციელა პრეტენდენტის კანონშეუსაბამო დისკვალიფიკაცია. მიუხედავად დავების საბჭოს მითითებისა, პრეტენდენტს არ მიეცა შესაძლებლობა – დასაზუსტებელი პოზიციების მითითების შესაბამისად დაეზუსტებინა გამოცდილების ამსახველი დოკუმენტები. საბოლოოდ, ხელშეკრულება გაუფორმდა მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტს, ღირებულებით – 756.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ შესყიდვების განხორციელების პროცესში ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვა. პრეტენდენტის არასაკმარისად დასაბუთებული დისკვალიფიკაციის შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 36.7 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

2.2.6 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარვეზები

2.2.6.1 გამოუყენებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

კრიტერიუმი: შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.⁴⁸ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ძირითადი მიზანია განისაზღვროს იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საჭირო სამუშაოები, რომელთა წარმატებით განხორციელების შედეგად მოსახლეობას დროულად მიეწოდება ხარისხიანი მუნიციპალური სერვისები.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს მართვისა და კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.⁴⁹

ფაქტობრივი გარემოება №1: მუნიციპალიტეტმა 2019-2021 წლებში შეისყიდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, მათ შორის, 84.2 ათასი ლარის ღირებულების დოკუმენტაციით განსაზღვრული ობიექტებისათვის⁵⁰ მერიას შესყიდვები არ დაუგეგმავს. აღნიშნული პროექტებით გათვალისწინებული იყო 13,417.0 ათასი ლარის სავარაუდო ღირებულების საავტომობილო გზების, ხიდების, წყლის სისტემების და სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობების სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და, შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, პროექტების გამოუყენებლობის მიზეზია არასაკმარისი ფინანსური რესურსი. აღნიშნული პოზიციით მუნიციპალიტეტი ადასტურებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის ეტაპი ხორციელდება ხარვეზებით. კერძოდ, მუნიციპალიტეტს აღნიშნულ ეტაპზე უნდა განესაზღვრა პროექტის რეალური საჭიროება, სავარაუდო ღირებულება, დაფინანსების წყარო და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განეხორციელებინა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის პროცედურები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს საანგარიშო პერიოდში გააჩნდა არსებითი მოცულობის

⁴⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება, მუხლი 6¹, „ა“ ქვეპუნქტი.

⁴⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁵⁰ სულ - 19 ობიექტი.

თავისუფალი ნაშთი და შეეძლო, მინიმუმ, რამდენიმე პროექტის განხორციელება.

ფაქტობრივი გარემოება №2: 2018 წელს მერიასა და შპს „არქიტექტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სპორტული დარბაზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის, ღირებულებით – 30.6 ათასი ლარი.⁵¹ მიმწოდებელმა მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილი შეასრულა,⁵² თუმცა მერიამ ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება მიმწოდებლისთვის თანხის ანაზღაურების გარეშე. მიმწოდებელმა მერიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მერიას დაევა 30.6 ათასი ლარის ანაზღაურება⁵³ კომპანიის სასარგებლოდ.⁵⁴ შესწავლით გამოვლინდა, რომ მერიამ შეცვალა სპორტკომპლექსის მშენებლობის ადგილი და შეიძინა ახალი საპროექტო დოკუმენტაცია სხვა ლოკაციაზე სპორტკომპლექსის ასაშენებლად.⁵⁵ შედეგად, შპს „არქიტექტის“ მიერ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციისთვის გადასახდელი თანხა არაეფექტიანი ხარჯია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა გასწია 114.8 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და შეისყიდა ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულ ვადაში არ გამოუყენებია. გარდა ამისა, არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში საქონლის საბაზრო ღირებულებისა და, შესაბამისად, ერთეული ფასების ცვლილების გამო, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გახდეს მოქმედ ფასებთან შეუსაბამო და კორექტირებისათვის საბიუჯეტო თანხები დამატებით დაიხარჯოს.

2.2.6.2 უხარისხო

საპროექტო

დოკუმენტაციის შესყიდვა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.⁵⁶ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის შესახებ, ითვალისწინებს ხარისხიანი პროდუქტის მიწოდების ვალდებულებას, ხოლო ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული ობიექტების სავარაუდო ღირებულებასა და სამშენებლო სამუშაოების შემადგენლობას განსაზღვრავდა იმავე ან წინა წლებში შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოყენებით.

ხელშეკრულებების შესრულების პროცესის შესწავლით გამოვლინდა, რომ 312.8 ათასი ლარის ღირებულების 25 საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავდა ხარვეზებს. შედეგად, 12,766.6 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების განხორციელებისას, ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად. დოკუმენტაციის კორექტირება

⁵¹ NAT180004374.

⁵² დარჩენილი იყო ხარჯთაღრიცხვაზე ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა.

⁵³ ასევე დამატებით საპროცესო ხარჯი - 1.8 ათასი ლარი.

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე № ას-1252-2020.

⁵⁵ NAT190006243.

⁵⁶ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

სამშენებლო სამუშაოების მნიშვნელოვან შეფერხებას იწვევდა, კერძოდ, პროექტის უხარისხობის საფუძველზე, მიწოდების ვადები იზრდებოდა ან/და ხელშეკრულებების მოქმედება წყდებოდა,⁵⁷ მათ შორის, 100 დღეზე მეტი დაგვიანებით შესრულდა ან/და შეწყდა 9,496.1 ათასი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მაგალითად:

- მერიამ 2020 წლის იანვარში გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აღმაშენებლის ქუჩაზე სპორტკომპლექსის მშენებლობის შესყიდვის მიზნით.⁵⁸ ტენდერში გაიმარჯვა შპს „აგრომშენსერვისმა“, რომელსაც გაუფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 3,888.2 ათასი ლარი. სამუშაოების მიწოდების თავდაპირველი ვადა, 2021 წლის 15 მაისი, სხვადასხვა მიზეზით გაიზარდა 5 შემთხვევაში და საბოლოო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 15 სექტემბერი. ვადის ცვლილებები განაპირობა როგორც გამოვლენილმა ობიექტურმა გარემოებებმა,⁵⁹ ასევე საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზებმა, კერძოდ: აუცილებელი გახდა შენობის მშენებლობის კოორდინატების ცვლილება, თავდაპირველად არასწორი ადგილმდებარეობის განსაზღვრის გამო; მშენებლობის პროცესში გამოვლინდა, რომ პროექტით გათვალისწინებული კონსტრუქცია (რიგელი) ვერ გაუძლებდა დაშენებული კედლის სიმძიმეს და საჭირო გახდა დამატებითი საყრდენის მოწყობა და სხვ. საბოლოოდ, სამუშაოები ვერ დასრულდა, ხელშეკრულება შეწყდა 2022 წლის 17 ოქტომბერს, ობიექტი დაუსრულებელია და მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილია 2,945.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 85.0 ათას ლარად შპს „ჯორჯიან ჰაუსისგან“.⁶⁰ დოკუმენტაციაზე დადებითი დასკვნა აქვს გაცემული ტექნიკურ ზედამხედველს – „შპს მშენეკსპერტს“;
- მუნიციპალიტეტმა 2020 წლის დეკემბერში ხელშეკრულება გააფორმა შპს „დიომინესთან“ სოფელ პეტრიაანში წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისთვის, ღირებულებით – 204.5 ათასი ლარი.⁶¹ სამუშაოების დაწყების შემდეგ გამოვლინდა, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია იყო უხარისხო, რის გამოც სამუშაოების წარმოება შეუძლებელი გახდა.⁶² შესაბამისად, მხარეების შეთანხმებით ხელშეკრულება შეწყდა, სამუშაოებში გადახდილია 40.9 ათასი ლარი. სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა შეიძინა 2020 წელს, შპს „ჰიდრასგან“⁶³ და გადაიხადა 5 ათასი ლარი. დოკუმენტაციაზე დადებითი დასკვნა აქვს გაცემული ტექნიკურ ზედამხედველს – შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინს“;
- 2020 წლის თებერვალში მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი⁶⁴ მჭადიჯვრის საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების შესასყიდად.

⁵⁷ მიწოდების ვადები გაიზარდა 15-დან 186-დღემდე; შეწყდა - 15 ხელშეკრულება.

⁵⁸ NAT200001570.

⁵⁹ Covid 19-ის პანდემია, მოვარდნილი ნიაღვარი, სამუშაოების პროცესში ჩამოშლილი გრუნტი და სხვ.

⁶⁰ NAT190006243.

⁶¹ NAT200017634.

⁶² სამუშაოების ღირებულება და მოცულობები არ შეესაბამებოდა ადგილზე არსებულ მდგომარეობას, უზუსტობები იყო განფასებებსა და ღირებულებებში.

⁶³ NAT200001341.

⁶⁴ NAT200004780.

ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „მეტალ +“-ს, ღირებულებით – 603.4 ათასი ლარი. სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ საპროექტო დოკუმენტაცია შეიცავდა რიგ ხარვეზებს.⁶⁵ საჭირო გახდა საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება⁶⁶ და დამატებითი სამუშაოების შესრულება, გაიზარდა როგორც სახელშეკრულებო ღირებულება,⁶⁷ ასევე მიწოდების ვადა (9 თვით).⁶⁸ სამუშაოები დასრულდა 2021 წლის ოქტომბერში. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 558.8 ათასი ლარი. მოგვიანებით გამოვლინდა, რომ ზოგიერთი შესრულებული სამუშაო არ შეესაბამებოდა⁶⁹ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ტექნიკურ რეგლამენტს, რის გამოც საჭირო გახდა აღნიშნული სამუშაოების თავიდან შესრულება ახალი ტენდერის ფარგლებში.⁷⁰ უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციის გამო, საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება 2020 წლის დეკემბრის ნაცვლად, დაგეგმილია 2023 წლის თებერვალში. აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 2018 წელს⁷¹ ი/მ გიორგი კობალაძისგან 5.7 ათას ლარად, პროექტზე დადებითი დასკვნა გაცემული აქვს საექსპერტო ორგანიზაცია შპს „მშენესპერტს“;

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, კონტრაქტორებთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, პროექტირებაში არსებული ხარვეზების გამო შეწყდა 12 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით – 130 ათასი ლარი. საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „ისაკის“, შპს „გედგარი +“-ის, ამხანაგობა „გედგარის“ და ი/მ გელა წოწკოლაურის მიერ, რაშიც ჯამურად გადახდილია 3.3 ათასი ლარი;⁷²
- დანარჩენ 10 შემთხვევაში, 7,668.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების უხარისხო საპროექტო დოკუმენტაციაში ჯამურად გადახდილია 213.8 ათასი ლარი. როგორც სხვა შემთხვევებში, საპროექტო დოკუმენტაციებზე⁷³ ტექნიკურ ზედამხედველს გაცემული აქვს დადებითი დასკვნები (იხ. დანართი №3).

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები სათანადოდ არ აზუსტებდნენ საპროექტო დოკუმენტაციას ან/და არ ითვალისწინებდნენ საექსპერტო დაწესებულებების რეკომენდაციებს. შედეგად, პროექტების დასრულება დაგვიანდა, სრულად არ შესრულდა მისი განხორციელების მიზნები და უსაფრთხოების მოთხოვნები, მაგალითად:

⁶⁵ ფუნდამენტების საპროექტო ნიშნულები მოხვდა ნაყარ გრუნტზე. ხარჯთაღრიცხვაში არმატურის და ბეტონის რაოდენობა იყო უფრო ნაკლები, ვიდრე პროექტში. ასევე საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული იყო ისეთი სამუშაოები, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია, მაგალითად, მეორე სართულის ფილაში ფარული რიგელების მოწყობა; ასევე სახურავის მოსაწყობად არ იყო გათვალისწინებული ხის მასალის საჭირო რაოდენობა და სხვ.

⁶⁶ 2020 წლის 11 ნოემბრის ცვლილება №1, 2021 წლის 10 აგვისტოს ცვლილება №4, 2021 წლის 24 სექტემბრის ცვლილება №6.

⁶⁷ 10%-ით, 54.9 ათასი ლარით.

⁶⁸ 2020 წლის 7 დეკემბრიდან 2021 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით.

⁶⁹ დარღვეულია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ოქტომბრის №485 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“. კერძოდ, სამხარეულოში სასაწყობო მეურნეობაში დაფიქსირებულია ხარვეზები: სამხარეულოს კედელი არ არის რეცხვა-დეზინფიცირებადი. არ არის ტრაპი; ჭერი არ არის რეცხვა-დეზინფიცირებადი; არ არის დამონტაჟებული გამწოვი; არ არის ვენტილაცია; არ არის ჭურჭლის სარეცხი ჩანები; არ არის ბადეები ფანჯრებზე; არ მოდის წყალი და ა.შ.

⁷⁰ NAT220019115; ზუსტი ღირებულების გამოთვლა ვერ მოხერხდა, ვინაიდან შეუძლებელია ახლად დამატებული სამუშაოების გამიჯვნა.

⁷¹ NAT180002411.

⁷² CMR200063446, CMR200072775, CMR210063379, CMR210072086.

⁷³ გარდა მუნიციპალიტეტისთვის ნაჩუქარი საპროექტო დოკუმენტაციისა.

- 2020 წლის იანვარში მუნიციპალიტეტმა შეისყიდა სოფელ ბაზალეთის ჭაბურღილისა და საქლორატოროს მოწყობის სამუშაოები.⁷⁴ ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „თერგს“ ღირებულებით – 126.7 ათასი ლარი. ტენდერის გამოცხადებამდე მერიამ არ დაადგინა მიწის ნაკვეთის კუთვნილების საკითხი. სამუშაოების დაწყებისას გამოვლინდა, რომ ჭაბურღილის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორია წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, რის გამოც სამუშაოების შესასრულებლად ალტერნატიული ადგილი შეირჩა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტმა არ გაითვალისწინა საექსპერტო დაწესებულების რეკომენდაცია და ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური კვლევა არ ჩაატარა.⁷⁵ შედეგად, მოწყობილი ჭაბურღილით მიღებული წყლის დებეტი გაცილებით ნაკლები იყო საჭირო რაოდენობაზე. მუნიციპალიტეტმა ცვლილება შეიტანა ხელშეკრულებაში და სხვა ადგილი შეარჩია კიდევ ერთი ჭაბურღილის მოსაწყობად შესაბამისი კვლევის საფუძველზე და სამუშაოების შედეგად მიიღო წყლის საკმარისი დებეტი. საწყისი გეოლოგიური კვლევის უგულებელყოფის გამო, მერიამ დამატებითი ჭაბურღილის დასაფინანსებლად პროექტიდან ამოიღო საქლორატოროს მოწყობის სამუშაოები.⁷⁶ მუნიციპალიტეტის მხრიდან პროცესის არასწორი დაგეგმვის შედეგად, სამუშაოების მიწოდება 5 თვით⁷⁷ დაგვიანდა, წელიწადნახევარზე მეტი დროის განმავლობაში მოსახლეობას არ მიეწოდებოდა გაწმენდილი წყალი;⁷⁸
- 2021 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „დიომინესგან“ შეისყიდა სოფელ ყველანში მისასვლელი საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოები,⁷⁹ ღირებულებით – 152.2 ათასი ლარი. მერიამ არასათანადოდ დაგეგმა ხიდის რეაბილიტაცია და საფარად გამოიყენა არსებული ლითონის კონსტრუქცია, რომელიც დაზიანებული იყო. აღნიშნული დადასტურდა შესრულებული სამუშაოების საექსპერტო დასკვნით. კერძოდ, ექსპერტმა მიუთითა, რომ ხიდის დაზიანებული საფარი უსაფრთხოების მიზნით აუცილებლად საჭიროებდა დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ საექსპერტო ორგანიზაციის რეკომენდაციის მიუხედავად, მერიამ ხიდის საფარი სამუშაოების დასრულების შემდეგაც არ შეცვალა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან

⁷⁴ NAT200000914.

⁷⁵ შპს „მშენ-ექსპერტმა“, რომელსაც ევალებოდა სამუშაოებზე საზედამხედველო საქმიანობა, 25 მაისს, №0277 წერილით მიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, რომ უნდა მომხდარიყო პროექტის კორექტირება და ჩატარებულიყო ახალი ადგილის ჰიდროგეოლოგიური კვლევა.

⁷⁶ მეორე ჭაბურღილის ღირებულება – 32.2 ათასი ლარი, საქლორატოროს ღირებულება – 29.4 ათასი ლარი.

⁷⁷ 56 დღე - პირველი ჭაბურღილისთვის ალტერნატიული ადგილის შესარჩევად და 96 დღე - მეორე ჭაბურღილის სამუშაოების კორექტირებისა და შესრულებისთვის.

⁷⁸ 2021 წლის 9 იანვარს გამოცხადდა ტენდერი (NAT210016914) სოფელ ბაზალეთში წყალმომარაგების რეზერვუარის და ქსელის მოწყობაზე, რომელიც დასრულდა 2022 წლის 29 აგვისტოს და რის შედეგადაც მოეწყო საქლორატორო.

⁷⁹ NAT210016471.

შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული პროდუქტი გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და მშენებლობის დასრულებაზე. მიუხედავად ამისა, მერიას საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლებისა და საექსპერტო ორგანიზაციების მიმართ სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია; ასევე ორ შემთხვევაში პასუხისმგებელმა პირებმა სათანადოდ არ დააზუსტეს საპროექტო დოკუმენტაცია და არ გაითვალისწინეს საექსპერტო დაწესებულებების რეკომენდაციები.

რეკომენდაცია №4

მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას. ამასთანავე, მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში, პროექტის ავტორის და საექსპერტო ორგანიზაციის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

2.2.7 გამოყენებული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.⁸⁰ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.⁸¹ მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸²

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში დაგეგმა განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება. კერძოდ, ამ მიზნით შესყიდული 6 ობიექტი დაუსრულებელია და არ ფუნქციონირებს. აღნიშნული ობიექტების ღირებულება 466.0 ათას ლარს შეადგენს, მაგალითად:

- მუნიციპალიტეტმა 2020 წლის ნოემბერში შეისყიდა მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში სარიტუალო დარბაზის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 24.0 ათასი ლარი.⁸³ დათვალიერებით გამოვლინდა, რომ შენობის მშენებლობა დაუსრულებელია, ასევე ესაჭიროება შესაბამისი ინვენტარი. მუნიციპალიტეტს დამატებითი სამუშაოები არ დაუგეგმავს და ობიექტი არ ფუნქციონირებს.

მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია დანარჩენი 5 ხელშეკრულების⁸⁴ ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტების

⁸⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19, „ი“ ქვეპუნქტი.

⁸¹ „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება, მუხლი 4, პუნქტი 6¹, „ა“ ქვეპუნქტი.

⁸² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸³ CMR200111980.

⁸⁴ NAT200014315, CMR210136480, NAT210010472, NAT210019776, CMR210151526.

	დასასრულებლად, ინფორმაცია 2020-2021 წლებში დაუსრულებელი პროექტების შესახებ ასახულია დანართში №4.
დასკვნა	ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა 466.0 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს.
რეკომენდაცია №5	მერიამ შეიმუშაოს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის სტრატეგია/წესი, რომლის ფარგლებშიც სამუშაოებს დაგეგმავს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას, მათ შორის, შეისწავლოს პროექტის პრიორიტეტულობა, შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია მისი განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.
2.2.8 დაურიცხავი და მიუღებელი ჯარიმები	კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით, მუნიციპალიტეტი იყენებდა საჯარიმო სანქციებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის. პირგასამტეხლოს გადახდა, ისევე როგორც ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება, მხარეებისათვის სავალდებულოა. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის/რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სამუშაოების მიწოდებას კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. გეგმა-გრაფიკის შედგენის მიზანია, შემსყიდველმა ადრეულ პერიოდში გამოავლინოს სამუშაოების შეფერხების ფაქტორები და დროულად დასასრულებლად მიმწოდებლებზე ჯარიმის გავრცელებით მოახდინოს ზემოქმედება.⁸⁵ ფაქტობრივი გარემოება №1: მუნიციპალიტეტის საქმიანობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების მხრივ მიმდინარეობდა ხარვეზებით. მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებდა გარემოებას, რომ საჯარიმო სანქციების გავრცელება მნიშვნელოვნად განაპირობებს მიწოდების ვადების დარღვევის პრევენციას, ხელს უწყობს მიმწოდებლების თანაბარ პირობებში ჩაყენებას და წარმოადგენს ბიუჯეტის დამატებით შემოსავალს. კერძოდ, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მიმწოდებლებზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის დარიცხულმა და მიუღებელმა ჯარიმებმა, სულ – 383.3 ათასი ლარი შეადგინა⁸⁶ (იხ. დანართი №5).

⁸⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 1, „დ“ ქვეპუნქტი.

⁸⁶ გარდა ამისა, სამი შესყიდვის ფარგლებში (NAT190022119, CMR210108645, NAT200007321) დაურიცხავი პირგასამტეხლო შეადგენს 28.4 ათას ლარს.

მერია არ ატარებდა ქმედით ღონისძიებებს დავალიანების მქონე მიმწოდებლების მიმართ. საჯარიმო თანხების მისაღებად მუნიციპალიტეტი იყენებდა მხოლოდ წერილობით მიმართვას, რაც ვერ უზრუნველყოფდა სათანადო შედეგის მიღებას. მერიამ მხოლოდ 2 შემთხვევაში შეიტანა საჩივარი სასამართლოში.⁸⁷ მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სამართლებრივი ღონისძიებები არსებითი ოდენობის საჯარიმო თანხების მისაღებად.

ფაქტობრივი გარემოება №2: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ 2020-2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობები ზოგ შემთხვევაში დარღვეულია. კერძოდ, 32 ხელშეკრულებისათვის, საერთო ღირებულებით – 10,094.6 ათასი ლარი, მიმწოდებლებმა სამუშაოები დაგეგმილ ვადებში ვერ დაასრულეს.

სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველის ანგარიშების მიხედვით, მიწოდების საბოლოო ვადების დარღვევამდე მიმწოდებლები არ იცავდნენ სამუშაოების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ მოთხოვნებსაც. მიუხედავად ამისა, მერია სამუშაოების მიმდინარეობის დროულობას არ აკონტროლებდა და არ იყენებდა გეგმა-გრაფიკის დაცულობის მექანიზმს. მერიამ მიმწოდებლები სამუშაოების გეგმა-გრაფიკების დარღვევისათვის არ დააჯარიმა, რაც ხელს შეუწყობდა სამუშაოების განსაზღვრულ ვადებში დასრულების პრევენციას.⁸⁸

დასკვნა

ხელშეკრულების ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხების ადმინისტრირება მუნიციპალიტეტისათვის სისტემური ხარვეზია. შესაბამისად, პასუხისმგებელი პირები არ მოქმედებდნენ სათანადოდ და დაუშვეს 358.7 ათასი ლარის ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მიუღებლობა.⁸⁹ ამასთანავე, სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული პირობების მოთხოვნა მუნიციპალიტეტისათვის ატარებდა ფორმალურ ხასიათს და არ უზრუნველყოფდა მერიის ინტერესების სათანადო დაცულობას სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში. ამგვარმა მიდგომამ გავლენა მოახდინა სამუშაოების დროულად დასრულებაზე და დაგვიანდა 10,092.3 ათასი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდება. მიუხედავად ამისა, გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის მუნიციპალიტეტს არ დაუჯარიმებია არც ერთი მიმწოდებელი და მუნიციპალურ ბიუჯეტში არ მიუმართავს შესაბამისი ფინანსური რესურსი.

რეკომენდაცია №6

მერიამ შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები; ამასთანავე, მერიამ გაატაროს სათანადო ღონისძიებები კუთვნილი საჯარიმო თანხების მისაღებად.

⁸⁷ ორი შეუსრულებელი ხელშეკრულების ფარგლებში, საქმის განხილვა მიმდინარეობს სასამართლოში (NAT200006531, NAT190025215), საჯარიმო თანხის ოდენობა შეადგენს 53.0 ათას ლარს. აუდიტის მიმდინარეობისას მერიამ დამატებით ერთი შესყიდვის (NAT200012871) შემთხვევაში მიმართა სასამართლოს დარიცხული პირგასამტეხლოს მისაღებად.

⁸⁸ აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის მიმწოდებლებზე დასარიცხი ჯარიმის თანხის დაანგარიშება შემდეგი მიზეზების გამო: ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით შეცვლილია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები და დასრულების ვადები, ხოლო კორექტირებული გეგმა-გრაფიკი წარმოდგენილი არ არის; ასევე არ არის შედგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია სამუშაოების მიმდინარეობის გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის შესაფასებლად.

⁸⁹ დაურიცხავი პირგასამტეხლო - 28.4 ათასი ლარი, დარიცხული პირგასამტეხლო, რომლის მისაღებად სათანადო ღონისძიებები არ გატარებულა - 330.3 ათასი ლარი.

გეგმა-გრაფიკებით დადგენილი პირობების დაუცველობის შემთხვევაში, მერიამ გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაოების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დასრულებასა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

2.2.9 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁹⁰ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლ(ებ)ის მოსახლეობა კრებებზე თანხმდება სოფლის საჭიროებებზე, რომლის ფარგლებშიც შესასრულებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში დასრულების პირობით ხორციელდება.⁹¹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაფინანსება 2020 წელს განსაზღვრული იყო 3,988.3 ათასი ლარით,⁹² ხოლო 2021 წელს – 4,504.9 ათასი ლარით.⁹³ 2020 წელს პროგრამა შესრულდა 66%-ით, ხოლო 2021 წელს – 69%-ით.⁹⁴

მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ძირითადად განახორციელა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს ჰქონდა საჭიროება შემჭიდრობულ ვადებში განხორციელებინა შესყიდვები, პროცესი ვერ მართა იმგვარად, რომ მიეღწია დასახული შედეგისთვის. მუნიციპალიტეტმა დაგვიანებით განახორციელა როგორც საპროექტო დოკუმენტაციის, ასევე სამუშაოების შესყიდვები, კერძოდ:

პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოებისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს 2020 წლისთვის თანხა გამოეყო 2019 წლის დეკემბერში, ხოლო 2021 წლისთვის – თებერვლის დასაწყისში.⁹⁵ მიუხედავად ამისა, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მაისიდან ივნისის ჩათვლით. ამასთანავე, ორივე წელს, სულ – 3,462.1 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებიდან, მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები სამუშაოების ღირებულების 45%-ისთვის გააფორმა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვიდან მხოლოდ 2 თვის შემდეგ.

დარჩენილი სამუშაოებისთვის საპროექტო დოკუმენტაცია მომზადდა მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ, რომლის ფარგლებშიც შესრულებული სამუშაოების ღირებულება 2,305.8 ათასი ლარია. აღნიშნული

⁹⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁹¹ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 თებერვლის №390 და 2021 წლის 28 აპრილის №658 განკარგულებები „ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე“.

⁹² 2019 წლის 26 დეკემბრის დღეით მუნიციპალიტეტის საკრებულოს №24 დადგენილება 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

⁹³ 2020 წლის 25 დეკემბრის დღეით მუნიციპალიტეტის საკრებულოს №26 დადგენილება 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

⁹⁴ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული რელიეფური პირობები ართულებს პროექტით განსაზღვრულ შესასრულებელ სამუშაოებს, რის გამოც მიმწოდებელთან ხელშეკრულებების გაფორმების ინტერესი დაბალია.

⁹⁵ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის №168 და 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულებები.

დასკვნა

სამუშაოების ღირებულების 85%-ისთვის ხელშეკრულებები გაფორმდა ივლისიდან წლის ბოლომდე.⁹⁶

მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებები გააფორმა საზოგადოებრივი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განხორციელების საფუძვლით, თუმცა ვერ უზრუნველყო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოების დროული შესრულება. შესაბამისად, მოსახლეობას ინფრასტრუქტურული სერვისი მიეწოდა დაგვიანებით. ზემოაღნიშნულმა ნაკლოვანებებმა ხელი შეუშალა პროგრამით განსაზღვრული მიზნების ეფექტიან მიღწევას.

2.3 იურიდიული პირების მართვა

2.3.1 იურიდიული პირების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს, თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს ა(ა)იპ/შპს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს.⁹⁷ ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში, რაც უზრუნველყოფს ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას. დაწესებულების ხელმძღვანელი კომპეტენციის ფარგლებში დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანად შესრულების უზრუნველსაყოფად, შეიმუშავებს და აყალიბებს ოპტიმალურ ორგანიზაციულ სტრუქტურას.⁹⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა მის მიერ დაფუძნებული 10 ა(ა)იპ და 9 შპს. მათზე გაცემულმა სუბსიდიის ოდენობამ, სულ – 7,508.7ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ბიუჯეტის გადასახდელების 18%-ია.⁹⁹ 2021 წლის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის იურიდიულ პირებში დასაქმებული იყო 797 პირი, ხოლო მერიასა და საკრებულოში – 195. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციებში საქმიანობდა 992 პირი, რომლის თანაფარდობაც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული მოსახლეობის რიცხოვნობასთან (26.1 ათასი) შედარებით, საკმაოდ მაღალია.

მუნიციპალიტეტის საქმიანობა მის მიერ დაფუძნებული სუბიექტების მართვის კუთხით მიმდინარეობდა ხარვეზებით, კერძოდ:

- ა(ა)იპ-ებში დასაქმებულების ფუნქციური დატვირთვა არ დასტურდება, დუბლირებული ან გაურკვეველია, მაგალითად:
 - ა(ა)იპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებაში დასაქმებულია ბუღალტრის თანაშემწე, რომელსაც ეკისრება ინვენტარიზაციის ჩატარების ფუნქცია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ინვენტარიზაციას ატარებს შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დაწესებულების ხელმძღვანელი.

⁹⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში, შეზღუდული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

⁹⁷ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პირველი და მე-2 პუნქტები, მუხლი 106¹, პუნქტი 1.

⁹⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი; მუხლი 6, პუნქტი 2; მუხლი 8, პუნქტი 1, „ვ“ ქვეპუნქტი.

⁹⁹ გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მუნიციპალმშენი“, შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის პროფილაქტიკის და დეზინფექციის სამსახური“ და შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმო-2006“ იმავე წლებში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის შესყიდვებში და იღებდნენ დამატებით დაფინანსებას. მიღებულმა თანხამ 472 ათასი ლარი შეადგინა.

ამასთანავე, ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში ერთხელ.¹⁰⁰ შესაბამისად, საშტატო ერთეულის არსებობა, მით უმეტეს სრული წლისთვის, დაუსაბუთებელია;

- ა(ა)იპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურში დასაქმებულია მთავარი ბუღალტერი და კიდევ დამატებით: 2 ბუღალტერი, უბნის უფროსი და უბნის უფროსის თანაშემწე, 2 მენეჯერი და 2 მენეჯერის თანაშემწე; ა(ა)იპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასა და ა(ა)იპ – დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრში დასაქმებულია 2-2 საქმისმწარმოებელი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაფერისი არგუმენტები დუბლირებული საშტატო ერთეულების საჭიროების შესახებ.
- მუნიციპალიტეტში არსებობს შპს-ები, რომლებიც არ ფუნქციონირებენ:
 - 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში შედიოდა 18 შპს. აქედან, 9 იყო უმოქმედო.¹⁰¹ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტი ვერ ახერხებს ორგანიზაციების ლიკვიდაციას მათზე დარიცხული საბიუჯეტო დავალიანების გამო. ამასთანავე, მერიაში არ ფლობდნენ ინფორმაციას დავალიანების მოცულობის, წარმოშობის მიზეზებისა და პერიოდის შესახებ. აუდიტის ჯგუფის მოთხოვნით, მერიამ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია დაფუძნებული იურიდიული პირების საგადასახადო დავალიანების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 6 შპს-ს უფიქსირდება 149.6 ათასი ლარის საბიუჯეტო დავალიანება.¹⁰² აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 26 აგვისტოდან მერიამ შრომითი ხელშეკრულებით დაიქირავა პირი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უმოქმედო შპს-ების ლიკვიდაციის მიზნით. დაქირავებულზე ანაზღაურების სახით 2020-2021 წლებში გადახდილია 10 ათას ლარზე მეტი. მერიამ ვერ წარმოგვიდგინა დოკუმენტური მტკიცებულებები, აღნიშნულ პერიოდში რა ღონისძიებები გატარდა ორგანიზაციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში გაუქმდა შპს „ტექსერვისი“. მერიის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტი გეგმავს საკუთრებაში არსებული 9 შპს-ის¹⁰³ ლიკვიდაციას.

¹⁰⁰ გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესით“ განსაზღვრული გამონაკლისებისა.

¹⁰¹ შპს „მშენებელი-2011“ (429319720), შპს „აგროტექსერვისი“ (229277813), შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ (229326869), შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის ავტობაზა“ (229325147), შპს „ჭინვალის საავადმყოფო“ (229275432), შპს „ჭინვალის საბინაო კომუნალური სამსახური“ (229315023), შპს „ფასანაურის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი“ (229284226), შპს „ქ. დუშეთის კომუნალური, დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ (229326734).

¹⁰² 2022 წლის 12 ივლისის მდგომარეობით: შპს „ტექსერვისი“ (429320530) - 96.1 ათასი ლარი; შპს „აგროტექსერვისი“ (229277813) - 33.2 ათასი ლარი; შპს „მშენებელი-2011“ (429319720) - 20 ათასი ლარი; შპს „აგრომეურნეობა ჭართალი“ (229277047) - 164 ლარი; შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ (229326869) - 100 ლარი; შპს „მუნიციპალმშენი“ (429326543) - 40 ლარი.

¹⁰³ შპს „მშენებელი-2011“ (429319720), შპს „აგროტექსერვისი“ (229277813), შპს „დუშეთის მუნიციპალიტეტის ავტობაზა“ (229325147), შპს „ჭინვალის საავადმყოფო“ (229275432), შპს „ჭინვალის საბინაო კომუნალური სამსახური“ (229315023), შპს „ფასანაურის კომუნალურ საწარმოთა კომბინატი“ (229284226), შპს „ქ. დუშეთის კომუნალური, დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“ (229326734), შპს „აგრომეურნეობა ჭართალი“ (229277047), შპს „არქიტექტორი“ (229274683). მათ შორის, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, მერიამ დაიწყო შპს „მშენებელი-2011“-ის და შპს დუშეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ლიკვიდაცია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტი დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მართავდა ხარვეზებით, კერძოდ, არ არის დაცული ფულადი სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად გამოყენების ვალდებულება; რიგ შემთხვევაში თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებს არ შეესაბამება. აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილია გამოვლენილი ხარვეზების რამდენიმე მაგალითი. გარდა ამისა, შესაძლოა არსებობდეს სხვა მსგავსი შემთხვევებიც, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებში/შპს-ებში კადრების მართვასა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ.

რეკომენდაცია №7

მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის სტრატეგია, რომელიც დაეფუძნება საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი და ეკონომიური განკარგვის პრინციპებს. სტრატეგიის შესაბამისად განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში, მერიამ შეაფასოს სუბიექტების საქმიანობის მიმართულებები და სარგებლიანობა; ასევე შეისწავლოს ორგანიზაციებში არსებული საკადრო პოლიტიკა, დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრისა და რეალური საჭიროების მხრივ. აღნიშნული ხელს შეუწყობს იურიდიული პირების საქმიანობის ეფექტიანობის ზრდასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

2.4 მუნიციპალური სერვისების მიწოდება 2.4.1 წყალმომარაგებაში არსებული ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს მიეკუთვნება მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.¹⁰⁴ კანონმდებლობის მიხედვით,¹⁰⁵ სასმელი წყალი უნდა იყოს უვნებელი. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია, აწარმოოს სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი, მიღებული მონაცემების აღრიცხვა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების პრიორიტეტის დოკუმენტებით, თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის სასმელი წყლის მიწოდება და შესაბამისი წყლის სისტემების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტში, წყლის მომარაგების სისტემების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე გაწეულმა ხარჯმა 3,667 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფმა, წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით და შესრულებული პროექტების ვიზუალური დათვალიერებით, შეისწავლა წყლის სისტემების ზოგადი მდგომარეობა. ქ დუშეთს, დაბა ჭინვალსა და ფასანაურს, ასევე 7 სოფელს – წყალს აწვდის შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, 1 სოფელს – შპს GWP, 183 სოფელს – ა(ა)იპ – დუშეთის წყალი, ხოლო 97 სოფელს საერთოდ არ ემსახურება არც ერთი ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ – დუშეთის წყალს ამ მომსახურების განსახორციელებლად საჭირო, კანონით განსაზღვრული ლიცენზია არ გააჩნია.

¹⁰⁴ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

¹⁰⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 1, მე-5 და მე-6 პუნქტები; მუხლი 2, პუნქტი 1.

შესაბამისად, მოსახლეობის ნაწილის წყალმომარაგებას უზრუნველყოფს არალიცენზირებული ორგანიზაცია. მუნიციპალიტეტში დაწესებული არ არის წყლის გადასახადი და საბიუჯეტო სახსრები არაპროდუქტიულად იხარჯება.

მუნიციპალიტეტის სოფლების ძირითად ნაწილში¹⁰⁶ წყლის გამწმენდი ნაგებობები მოწყობილი არ არის; მერიის ან მუნიციპალური ა(ა)იპ-ის მიერ 2020-2021 წლებში წყლის ხარისხის ლაბორატორიული კვლევა არ ჩატარებულა, ხოლო 2022 წელს შემოწმებული 15 სოფლიდან, შეუსაბამოა გამოვლინდა 10 სოფელში; ასევე საბავშვო ბაღებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, 2021 წელს¹⁰⁷ 15 საბავშვო ბაღიდან 8-ში გამოვლინდა ნორმიდან გადახრა. მიუხედავად ამისა, პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა ვერ უზრუნველყო პრიორიტეტების დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევა. შედეგად, სასმელი წყლის ხარისხი უმრავლეს შემთხვევაში არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს, მათ შორის, საბავშვო ბაღებში. მუნიციპალიტეტის საქმიანობა სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველსაყოფად არასაკმარისი იყო. აღნიშნული პრობლემა ატარებს სისტემურ ხასიათს, თუმცა მერიას მისი მოგვარების მიზნით სათანადო ღონისძიებები არ განუხორციელებია.

რეკომენდაცია №8

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს, გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.5 მუნიციპალური ქონების მართვა

2.5.1 ქონების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმები. ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირებს შორის. თვითმმართველი ერთეული ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებულია, შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, უზრუნველყოს ქონების მონიტორინგი და დაიცვას მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესები.¹⁰⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი ფლობდა 500-ზე მეტი დასახელების¹⁰⁹ სხვადასხვა დანიშნულების უძრავ და მოძრავ ქონებას. მერიამ ვერ უზრუნველყო საკუთრებაში არსებული აქტივების სათანადო განკარგვა. შედეგად, მუნიციპალური ქონება გამოყენებულია არაეფექტიანად,

¹⁰⁶ 272 სოფელი.

¹⁰⁷ 2020 წელს ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის ცენტრს პანდემიის გამო წყლის ლაბორატორიული კვლევა არ ჩატარებია.

¹⁰⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 122, პირველი და მე-2 პუნქტები; მუხლი 109.

¹⁰⁹ მუნიციპალიტეტის და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიღებული ინფორმაცია.

განკარგულია არაუფლებამოსილი პირების მიერ და დაზიანებული ქონების აღსადგენად გაწეულია დამატებითი ხარჯები, კერძოდ:

- მუნიციპალური ქონების შესწავლით გამოვლინდა, რომ 58 შემთხვევაში ქონებას განკარგავდნენ არაუფლებამოსილი ფიზიკური/იურიდიული პირები და ამ ობიექტებს იყენებდნენ სამეწარმეო დანიშნულებით, მუნიციპალიტეტთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. ამდენად, ქონების მართვისა და მოვლა-პატრონობის პროცესი მიმდინარეობდა კონკრეტული პირების ინტერესებიდან გამომდინარე, რის შედეგად ზარალი მიაღწა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. არაუფლებამოსილი პირები სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ:
 - სოფელ ანანურში, ეკლესიის მიმდებარედ განთავსებულ სავაჭრო ობიექტს, სადაც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა 56 სხვადასხვა პირი.¹¹⁰ აუდიტის მიმდინარეობისას 54 ობიექტი გაიცა იჯარით და გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები.
 - მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 64-ე კილომეტრზე მუნიციპალიტეტის მიწაზე უნებართვოდ მოწყობილ კვების ობიექტს;¹¹¹
 - სოფელ ნადიბაანში, მუნიციპალიტეტის მიწაზე უნებართვოდ მოწყობილ კვების ობიექტს.¹¹²

რამდენადაც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მდგომარეობა შემოწმდა შერჩევით, მაღალია რისკი, რომ არაუფლებამოსილი პირები იყენებდნენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებასაც.

ასევე გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო საკუთარი, როგორც მესაკუთრის, კანონიერი ინტერესების დაცვა, კერძოდ:

- 2020 წლის დეკემბერში მუნიციპალიტეტში, ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. შემთხვევის შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტი: კომერციული ჯიხურები, სკვერში მოწყობილი ქვაფენილები, პანორამული გადასახედი, დეკორაციული კედელი და სხვ. მუნიციპალიტეტმა ტერიტორიის აღსადგენად განახორციელა შესყიდვა, ღირებულებით – 51.7 ათასი ლარი, თუმცა არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალის დასადგენად და მიღებული ზიანის ასანაზღაურებლად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აუდიტის ობიექტი აპირებს შეისწავლოს საკითხი, დაადგინოს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, მოიკვლიოს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა და სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში განახორციელოს სამართლებრივი ღონისძიებები.

ხარვეზები გამოვლინდა ასევე იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული ქონების განკარგვის პროცესშიც, კერძოდ:

¹¹⁰ ს/კ 71.55.22.737, მოწყობილ ჯიხურებში ხორციელდება პროდუქციის რეალიზაცია, მათ შორის, სოფლის მეურნეობის ნაწარმის, სხვადასხვა სახის სუვენირის და ა.შ.

¹¹¹ 71.54.06.425.

¹¹² 71.62.55.070.

- შპს „დუშეთის აგრარული ბაზარი“ განკარგავს მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემულ ქონებას.¹¹³ შპს-ს უძრავი ქონება გაქირავებული აქვს მესამე პირებზე. კერძოდ, 2020 – 2021 წლებში მოქმედებდა 34 პირდაპირი განკარგვის ხელშეკრულება, ღირებულებით – 29.5 ათასი ლარი. გამოვლინდა, რომ გაქირავების პროცესში დარღვეულია როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს,¹¹⁴ ასევე საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹¹⁵ განსაზღვრული მოთხოვნები, კერძოდ: შპს „დუშეთის აგრარულ ბაზარს“ ქონება იჯარით აქვს გაცემული ისე, რომ საკრებულოს მიერ არ არის დადგენილი საიჯარო ქირა. ასევე: მოწვეული აუდიტორის/ექსპერტის მიერ არ არის შეფასებული გასაქირავებელი ფართის საბაზრო ღირებულება და არ არის განსაზღვრული საწყისი საიჯარო ქირის ოდენობა. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები, რაზე დაყრდნობით იქნა გაანგარიშებული საიჯარო ქირის ოდენობა. არსებობს რისკი, რომ შპს ქონებას სარგებლობის ფორმით გასცემდა არასაბაზრო ფასებით;
- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „მუნიციპალმშენს“ თხოვნის წესით გადაცემული აქვს მერიის საკუთრებაში არსებული 10 ერთეული სპეცტექნიკა.¹¹⁶ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, შპს-მ ტექნიკის გაქირავება უნდა შეათანხმოს მესაკუთრესთან. 2020 – 2021 წლებში შპს-მ გააფორმა 19 ხელშეკრულება ტექნიკით მომსახურებასთან დაკავშირებით (როგორც ტექნიკის დაქირავების, ასევე გაქირავების ხელშეკრულებები). წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ შპს „მუნიციპალმშენი“ ქონებას განკარგავდა თვითნებურად, მუნიციპალიტეტის სავალდებულო თანხმობის გარეშე. გარდა ამისა, შპს „მუნიციპალმშენს“ სპეცტექნიკის სარგებლობის უფლებით გადაცემის რაიმე წესი არ ჰქონდა შემუშავებული და ღირებულება არ ყოფილა შეფასებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. ამდენად, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები ქირავნობის ფასს ადგენდნენ სუბიექტურად. არსებობს რისკი, რომ ფასი დადგენილია საბაზრო ღირებულების გათვალისწინების გარეშე.¹¹⁷

დასკვნა

ქონებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ ვერ დაიცვა საკუთარი ინტერესები, კერძოდ: კონტროლის მექანიზმების სისუსტის გამო, მუნიციპალური ქონება და ტექნიკა განკარგულია არაეფექტიანად; სათანადო რეაგირების გარეშეა დარჩენილი სხვადასხვა არაუფლებამოსილი პირის მიერ მუნიციპალიტეტის ქონებით

¹¹³ დუშეთის მერიასა და შპს „დუშეთის აგრარულ ბაზარს“ შორის 2020 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება უძრავის ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ. ქონება მდებარეობს: დუშეთში, წითელსოფელსა და დაბა ფასანაურში.

¹¹⁴ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 18 ნოემბრის №28 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“.

¹¹⁵ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.

¹¹⁶ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მუნიციპალმშენს“ შორის 2020 წლის 22 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება მოძრავი ქონების გადაცემის შესახებ (გრეიდერი, ბულდოზერი, ექსკავატორი, ტრაქტორები და ა.შ.).

¹¹⁷ მაგალითად, შპს „მუნიციპალმშენს“, ერთი და იმავე ტექნიკის დაქირავებისას, ერთ შემთხვევაში გადახდილი აქვს საათში 50 ლარი, ხოლო სხვა შემთხვევებში - 133 ლარი. ასევე მომსახურების მიზნით გაქირავების დროს, გრეიდერის შემთხვევებში, დროის ახლო პერიოდში გადახდილია საათში 87.5 ლარი, ხოლო სხვა შემთხვევებში - 62.5 ლარი.

არამართლზომიერი სარგებლობის შემთხვევები; სხვის მიერ დაზიანებული მუნიციპალური ქონება აღდგენილია საბიუჯეტო თანხებით.

რეკომენდაცია №9

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების მონიტორინგისა და განკარგვის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. მერიამ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება მუნიციპალური ქონების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური ქონების მართვის პროცესის გაუმჯობესებას და საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. ამასთანავე, მუნიციპალური ქონების დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა დაადგინონ მიყენებული ზარალის ოდენობა და გაატარონ სათანადო ღონისძიებები მის ასანაზღაურებლად.

2.5.2 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,¹¹⁸ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2020-2021 წლებში არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.¹¹⁹ შესაბამისად, არ განხორციელებულა აქტივების, ვალდებულებებისა და ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან შედარება; ასევე არ ჩატარებულა შემოწმება ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

არასრულად ჩატარდა ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებშიც, კერძოდ, 19-დან ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა 6 სუბიექტში.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №10

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს

¹¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მე-2 და მე-3 მუხლები.

¹¹⁹ 2021 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ 4 ადმინისტრაციულ ერთეულში: ლაფანანთვარში, მჭადიჯვარში, ხეობასა და გრემისხევში.

აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.6 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

2.6.1 ავტოპარკის მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებების მიხედვით,¹²⁰ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად განსაზღვრული იყო 7 სამორიგო ავტომანქანა.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში თვითმმართველმა ერთეულმა არ დაიცვა მის მიერვე შემუშავებული წესი სატრანსპორტო საშუალებების ზღვრული ოდენობის შესახებ. კერძოდ, მუნიციპალიტეტში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატებოდა დადგენილ ზღვრულ ოდენობას: ნაცვლად 7 სამორიგო მანქანისა, მუნიციპალიტეტი 2020 წელს იყენებდა მერიის, ასევე დასაქმებულთა კერძო საკუთრებაში არსებულ – 54 და 2021 წელს – 68 ავტომობილს.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მუნიციპალიტეტმა 2020-2021 წლებში დახარჯა 326.3 ათასი ლარის ღირებულების 145.3 ტონა საწვავი.¹²¹ აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა საწვავის ყოველდღიური ხარჯვა ცალკეულ საჯარო მოსამსახურეზე გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში. გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

- საჯარო მოსამსახურეებმა 26.9 ტონა (საერთო მოცულობის 19%-მდე) საწვავი ჩაასხეს ისეთი მიმართულებებით გადაადგილებისას (თბილისი, რუსთავი, ბორჯომი, ურეკი, ქობულეთი, გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, ბათუმი და ა.შ.), რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, არ უკავშირდებოდა სამსახურში გამოცხადებას ან სხვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას (მივლინებას);
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში, ავტომობილებში ერთჯერადად ჩასხმულია ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 35 შემთხვევაში – 14 ავტომობილში, როცა თითოეული ავზის მოცულობა 50-70 ლიტრია, ერთჯერადად ჩასხმულია 61-130 ლიტრი საწვავი (იხ. დანართი №6), რაც მანქანების ავზის მოცულობიდან გამომდინარე, ვერ განხორციელდებოდა;
- 20 შემთხვევაში დაფიქსირდა ავტომანქანებში ერთი და იმავე ბარათის გამოყენებით, დროის მოკლე მონაკვეთში ავზის მოცულობაზე მეტი საწვავის ჩასხმის ფაქტი. კერძოდ, 8 სხვადასხვა ავტომობილში, რომელთა ავზის მოცულობა 50-80 ლიტრია, ჩასხმულია 64-150 ლიტრი საწვავი (იხ. დანართი №7).

¹²⁰ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 თებერვლის №3 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოში სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის განაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“.

¹²¹ მათ შორის, 318.4 ათასი ლარის ღირებულების - 142,1 ტონა ბენზინი და 7.9 ათასი ლარის ღირებულების - 3,2 ტონა დიზელი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა აღემატება საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ ოდენობას. აუდიტის ობიექტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებით. საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები მუნიციპალიტეტში სრულად ვერ უზრუნველყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია №11

მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის საკრებულოს დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე საწვავის არამიზნობრივად ხარჯვის პრევენციის მიზნით, დანერგოს კონტროლის მექანიზმ(ებ)ი და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები; მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა.

**2.6.2 საკრებულოს
წევრებზე დოკუმენტური
დასაბუთების გარეშე
გაწეული ხარჯები**

კრიტერიუმი: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად,¹²² მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიხედვით,¹²³ საკრებულოს წევრს (არათანამდებობის პირი) შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად და ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,¹²⁴ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) ხარჯების ასანაზღაურებლად საკრებულოს დადგენილებით განესაზღვრათ ზღვრული მოცულობა – თვეში 397 ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულ პირებს 2020-2021 წლებში მიღებული აქვთ სულ 111.8 ათასი ლარი.¹²⁵

¹²² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

¹²³ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №29 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 16.

¹²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქცია“, მუხლი 5; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“, მე-6 და მე-7 მუხლები.

¹²⁵ 2020 წელს – 56.6 ათასი ლარი, 2021 წელს – 55.2 ათასი ლარი.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძვლად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე მიანიშნებს, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთი და იგივე შესასრულებელი დავალებები და იდენტური ხარჯი.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 111.8 ათასი ლარი გასცეს შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.6.3 საკონსულტაციო მომსახურების შეუსაბამობა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობები, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.¹²⁶ ამასთანავე, მიზანშეწონილი არ არის დამატებით საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება იმავე ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოქმედ მოხელეებს ევალებათ. მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.¹²⁷ სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.¹²⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა მემორანდუმში გააფორმა ა(ა)იპ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მემორანდუმის ფარგლებში, 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა ასოციაციას გადაუხადა 20.0 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციით, ასოციაცია მერიას ეხმარება საკუთრებაში არსებული ქონების აღწერაში, მოსამსახურეებისათვის ტარდება ტრენინგები და სხვ.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია საქმიანობისას გამოიყენოს საკუთარი შრომითი რესურსი, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში, დაგეგმოს მოხელეების გადამზადება. ამასთანავე, მოხელეებისთვის

¹²⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

¹²⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1, „ჟ“ და „ს“ ქვეპუნქტები.

¹²⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

პროფესიული განვითარების ტრენინგების საჭიროებისას – მომსახურება შეისყიდოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი გაწევრიანებულია ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციაში, რისთვისაც იხდის საწევრო გადასახადს. ასოციაციის ფუნქციებია: მუნიციპალიტეტების განვითარების კოორდინაცია და პრობლემათა იდენტიფიკაცია, ადგილობრივი თვითმმართველობების კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მოხელეთა სწავლების ორგანიზება, არსებული პრაქტიკული გამოცდილებისა და მიღწევათა განზოგადება და დანერგვა, პროფესიული ეთიკის ნორმების დამკვიდრება, მეთოდოლოგიური და სარეკომენდაციო მასალების მომზადება და გავრცელება, ადგილობრივი თვითმმართველობების და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის დიალოგის ხელშეწყობა და სხვ. ფუნქციათა მრავალფეროვნებისა და საწევრო შენატანების მიუხედავად, მუნიციპალიტეტმა სათანადოდ არ გამოიყენა თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გაეწიათ ხარჯი მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო მომსახურებაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 20.0 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

რეკომენდაცია №12

მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და სხვა მუნიციპალიტეტებთან ერთად ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

2.7 საბიუჯეტო პროცესი

2.7.1 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერა და მიღწეული შედეგები აისახება ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს განმარტებებს, თუ დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა 30%-ს აღემატება.¹²⁹

მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტის დაგეგმვის დროს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის უნდა მიმართოს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.¹³⁰

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ:

¹²⁹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 87.

¹³⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

- 2020-2021 წლებში საბიუჯეტო პროგრამების ნაწილის შესრულების მაჩვენებელი 70%-ზე ნაკლები იყო.¹³¹ მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ არის ასახული პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტება;
- 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის, კანონმდებლობის მიხედვით უნდა დაეხარჯა 35.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად დახარჯული თანხა 9.4 ათას ლარს შეადგენს.

დასკვნა:

მერიაში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესი წარიმართა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზით: დაინტერესებულ პირებს არ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამების შესრულებლობის მიზეზების შესახებ, არ შესრულდა საკანონმდებლო მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისთვის.

2.8 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.8.1 მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საჯარო ზედამხედველობის ხარვეზები

კრიტერიუმი: მერიას ევალება საჯარო ზედამხედველობის განხორციელება მშენებლობის წარმოებისას სანებართვო პირობების დაცვაზე, ასევე – უკანონო მშენებლობების გამოვლენა.¹³² იგი ვალდებულია აწარმოოს პერიოდული მონიტორინგი, რათა გამოავლინოს უნებართვო მშენებლობები და გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები.¹³³

ფაქტობრივი გარემოება: შესწავლით გამოვლინდა, რომ მერიის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების მონიტორინგის არსებული სისტემა გაუმართავია, რაც ვერ უზრუნველყოფს უკანონო მშენებლობების დროულად გამოვლენას, მაგალითად:

- აუდიტის ჯგუფმა მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც მიეკუთვნება სანიტარული დაცვის მკაცრი აღრიცხვის პირველ ზონას. აღნიშნულ ტერიტორიაზე აკრძალულია ფიზიკური პირების მუდმივად ან დროებით ცხოვრება.¹³⁴ დათვალიერებით გამოვლინდა 9 შემთხვევა, როდესაც სანიტარული დაცვის პირველ ზონაში აშენებულია სასტუმრო კომპლექსი და საცხოვრებელი სახლები. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამშენებლო ნებართვა 2013 წელს გაცემულია ერთ ობიექტზე მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია განეკუთვნებოდა სანიტარული დაცვის პირველ ზონას. დანარჩენ შემთხვევებში ობიექტების მშენებლობაზე ნებართვები გაცემული არ არის. მერიას არ გამოუვლენია აღნიშნული უნებართვო მშენებლობის ფაქტები, ასევე – სამართალდამრღვევი პირების ვინაობა და, შესაბამისად, არ გაუტარებია კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. აღსანიშნავია,

¹³¹ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, „სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება“, „საჯარო სკოლების ხელშეწყობა“, „ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება“ და სხვა პროგრამები.

¹³² დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის №36 დადგენილება დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების - მერიის სამსახურების დებულებების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2.

¹³³ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, მუხლი 127.

¹³⁴ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №656 ბრძანებულება „კურორტ ბაზალეთის ტბის სანიტარული დაცვის ზონების დამტკიცების შესახებ“. დანართი №2; საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“, მუხლი 7.

რომ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოცემული შენობა-ნაგებობები აშენებულია 2005 წლამდე - კურორტ ბაზალეთის ტბის სანიტარიული დაცვის ზონების დამტკიცებამდე. აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა მოცემული ფაქტის დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტური მტკიცებულებები და ვერც აუდიტის ჯგუფმა მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები მშენებლობის ზუსტ თარიღთან დაკავშირებით.

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტმა უნებართვო მშენებლობისთვის დააჯარიმა 30 პირი, საიდანაც 27 შემთხვევა გამოვლინდა მესამე პირების განცხადებების საფუძველზე¹³⁵ და მხოლოდ 3 – ინსპექტირების შედეგად. აქედან, 16 ფაქტი დადგინდა ობიექტის სამუშაოების დასრულების ეტაპზე. გარდა ამისა, დამრღვევი პირის დაჯარიმების შემდგომ, უნებართვო მშენებლობის შესაჩერებლად არ არის დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები. გამოვლენილი 30 ფაქტიდან: სასამართლოში განიხილება – 9 მათგანი, 14 შემთხვევაში აღმოიფხვრა პრობლემა (მესაკუთრემ აიღო მშენებლობის ნებართვა ან განახორციელა დემონტაჟი), 5 შემთხვევაში აუდიტის მიმდინარეობის პერიოდისთვის მერია განიხილავდა სამშენებლო ნებართვის გაცემის საკითხს, დანარჩენ 2 შემთხვევასთან დაკავშირებით, მერია ინფორმაციას არ ფლობს.

სასამართლოში გასაჩივრებულ არც ერთ ფაქტზე საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული. ჯარიმის გამოწერის შემდგომ, მითითებულ ობიექტებზე შესაბამისი სამსახური მშენებლობის მონიტორინგს არ აწარმოებდა. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ დაჯარიმებული მესაკუთრეები სასამართლო გადაწყვეტილების მოლოდინში აგრძელებდნენ მშენებლობის პროცესს. გარდა ამისა, აუდიტის ჯგუფმა, მასშტაბიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის პროცესის შესასწავლად ობიექტები შერჩევით დაათვალიერა. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა სხვა უნებართვო მშენებლობებიც.¹³⁶

დასკვნა

საჯარო ზედამხედველობის პროცესში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების გამო, მერიამ ვერ უზრუნველყო უნებართვო მშენებლობის ფაქტების დადგენა და მათზე სათანადო რეაგირება. შედეგად, უნებართვო მშენებლობის ფაქტები მერიამ დაგვიანებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ ვერ გამოავლინა და არ განახორციელა სათანადო რეაგირება მშენებლობის შეჩერების მიზნით.

რეკომენდაცია №13

მერიამ, სამშენებლო სამუშაოებზე საჯარო ზედამხედველობის სათანადოდ განხორციელების მიზნით, დანერგოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები და შეიმუშაოს სათანადო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიმდინარე მშენებლობების ინტენსიურ მონიტორინგს და უნებართვო მშენებლობების დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს მუნიციპალიტეტის

¹³⁵ 10 შემთხვევაში თავად დამრღვევა პირმა მიმართა მერიას, ხოლო 17 შემთხვევაში უნებართვო მშენებლობა გამოვლინდა სხვა პირების განცხადებების საფუძველზე.

¹³⁶ პასუხისმგებელი პირის განმარტებით აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ობიექტმა გააუმჯობესა სამშენებლო ზედამხედველობის კუთხით განხორციელებული საქმიანობა და 2022-2023 წლებში მერიამ გამოავლინა უნებართვო მშენებლობის 94 შემთხვევა.

ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

2.8.2 საბანკო მომსახურების შესყიდვის ნაკლოვანება

კრიტერიუმი: დეპოზიტებსა და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს.¹³⁷ ბიუჯეტის შესრულებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.¹³⁸ ორგანიზაციაში დანერგილმა მართვისა და კონტროლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება.¹³⁹

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტი სარგებლობდა საბანკო დაწესებულების მომსახურებით, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 2015 წელს. ბანკი ანგარიშზე ფულადი რესურსების განთავსების სანაცვლოდ მუნიციპალიტეტს არიცხავდა სარგებელს, წლიური 10%-ის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ქ. დუშეთში ფუნქციონირებს რამდენიმე საბანკო დაწესებულება, მუნიციპალიტეტს შემდგომ წლებში საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად ბაზრის კვლევა არ ჩატარებია.¹⁴⁰

დასკვნა

2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტს სადეპოზიტო ანგარიშზე გააჩნდა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. მერია არ მოქმედებდა რაციონალურად, კერძოდ, არ შეისწავლა საბანკო მომსახურების ბაზარი საუკეთესო შემოთავაზების გამოსავლენად, რაც მუნიციპალიტეტს მოუტანდა დამატებითი ფინანსურ სარგებელს.

2.9 მოსაკრებლები

2.9.1 დასუფთავების მიუღებელი მოსაკრებელი

კრიტერიუმი: საკრებულოს დადგენილებით,¹⁴¹ დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, ორგანიზაციებისათვის, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრულია მოსაკრებლის გადახდა. დებულების თანახმად,¹⁴² დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება ევალება მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურს. დადგენილი მოსაკრებლის გადაუხდელობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დავალიანების მქონე პირების მიმართ გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, დასუფთავების მოსაკრებლის სახით მიღებულია 162.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მობილიზებულია სხვადასხვა ორგანიზაციიდან, მეწარმე სუბიექტებიდან და მოსახლეობიდან.

¹³⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 მაისის №99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“, თავი IV.

¹³⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 83, პუნქტი 2.

¹³⁹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 6.

¹⁴⁰ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად ბაზრის კვლევა ჩატარდა ზეპირად სატელეფონო ზარის და ფილიალებში ვიზიტის მეშვეობით. ამასთან, აუდიტის ობიექტი აპირებს შემდგომ პერიოდში ბაზრის კვლევის ჩატარებას და კვლევის შედეგების დადოკუმენტირებას.

¹⁴¹ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 თებერვლის №6 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.“

¹⁴² დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის №36 დადგენილება „დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების - მერიის სამსახურების დებულებების დამტკიცების თაობაზე.“

მერიის მიერ მოწოდებული მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის მიხედვით, 2020-2021 წლებში დასუფთავების მოსაკრებლის სახით მუნიციპალიტეტს უნდა მიეღო 273.6 ათასი ლარი. შესაბამისად, მოცემულ პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა ვერ მიიღო 111.6 ათასი ლარის შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ბოლოს, სულ დაგროვებული გადაუხდელი მოსაკრებლის დავალიანება 360.1 ათას ლარს შეადგენდა.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებული კონტროლის სუსტი მექანიზმების შედეგად, მერიამ ვერ უზრუნველყო მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირება. შედეგად, მუნიციპალიტეტმა სრულად ვერ მიიღო დასუფთავების მოსაკრებელი, რაც უარყოფითად აისახა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებზე.

რეკომენდაცია №14

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას; მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელს.

2.10 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობა

2.10.1 შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახური ეხმარება მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც განსაზღვრა ხელმძღვანელობამ მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვისათვის. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია ორგანიზაციაში არსებული სისტემების, პროცესების, შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა და მათი ფუნქციონირების შემოწმება. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სამსახურმა შეისწავლოს მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა; შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოიყენება დაფინანსება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შიდა აუდიტის სამსახურის უპირველესი ფუნქციაა სისტემური ხარვეზების შესწავლა და მათ გამოსწორებაზე ორიენტირებული რეკომენდაციების შემუშავება. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.¹⁴³

ფაქტობრივი გარემოება: 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარდა 11 აუდიტორული შემოწმება. წარმოდგენილი მონაცემებით, შიდა აუდიტის სამსახურს შესწავლილი აქვს მერიის მხოლოდ 2 სტრუქტურული ერთეული.¹⁴⁴ მას არ შეუსწავლია მერიის სხვა სამსახურების საქმიანობა. სამსახურს არ განუხორციელებია წინასწარი შესწავლისა და რისკის შეფასების სათანადო პროცედურები. აღნიშნული პროცედურების საფუძველზე, სამსახურს უნდა გამოევიდნა სისტემური დარღვევა-ნაკლოვანებები და შეემუშავებინა ამ ხარვეზების გამოსწორებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები. ამდენად, სამსახური სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს

¹⁴³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 6.

¹⁴⁴ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური.

ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებას.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად, ძირითადად გამოვლენილია სხვადასხვა სახის კონკრეტული დარღვევა-ნაკლოვანება. აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020-2021 წლებში გაწეული საქმიანობის შედეგად ვერ დადგინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომლებიც დაფიქსირდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტის შედეგად.

დასკვნა

შიდა აუდიტის სამსახურს სათანადოდ არ შეუსწავლია ორგანიზაციაში არსებული პროცესები და შიდა კონტროლის სისტემები, არ გამოუვლენია სისტემური ხასიათის რისკები და მათი აღმოფხვრის მიზნით არ გაუცია სათანადო რეკომენდაციები. შიდა აუდიტის სამსახურმა ვერ უზრუნველყო მერიის საქმიანობის გაუმჯობესება, ფინანსების რაციონალური მართვის და ორგანიზაციის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

რეკომენდაცია №15

მერიამ უზრუნველყოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის იმგვარი წარმართვა, რომელიც შეისწავლის და შეაფასებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემებს, ასევე პროცესებში არსებული რისკებს და გამოავლენს სისტემურ ხარვეზებს. მიღებული შედეგების საფუძველზე, სამსახურმა შეიმუშაოს რეკომენდაციები და განახორციელოს მათი მუდმივი მონიტორინგი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2.11 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტის შედეგები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2019 წელს ჩაატარა მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რომლებიც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტს კვლავ გააჩნია საკუთარ ანგარიშზე არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთები;
- ნაკლოვანებებია ქონების მართვაში. არაუფლებამოსილი პირები კვლავ იყენებენ მუნიციპალურ ქონებას;
- ხარვეზებია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების მართვაში;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მიწოდებული სასმელი წყლის ხარისხი, უმეტესად, არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;
- სატრანსპორტო საშუალებების საწვავისა და მოვლა-შენახვისთვის გამოყოფილი თანხები იხარჯება არარაციონალურად;
- მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
- ინვენტარიზაცია არ ჩატარდა;

- მუნიციპალიტეტის ჩაბარებული სამუშაოების ნაწილი დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევანაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

ხელმოწერა

თეა არველაძე
მთავარი აუდიტორი

თ. არველაძე

ბაკურ კვეტენაძე
უფროსი აუდიტორი

ბ. კვეტენაძე

ირაკლი წინაშვილი
აუდიტორ-ასისტენტი

ი. წინაშვილი

არჩილ გვალია
აუდიტორ-ასისტენტი

არჩილ გვალია

დანართები

დანართი №1.

2020-2021 წლებში მოწყობილი და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტები (ათასი ლარი)

№	შესყიდვის ნომერი	პროექტის დასახელება	ღირებუ ლება	ხარვეზი
1	CMR200124318	სოფელ ჭართალში საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა	103.4	გათბობის ტუმბო არ მუშაობს; რადიატორებიდან ჟონავს სითხე, სპორტდარბაზში რადიატორების არასათანადო განლაგება-მონტაჟის გამო, ისინი დაფარულია ხის მასალით (ფიცრით).
2	NAT200007528	სოფელ შატილში სკოლის შენობის მშენებლობა	1,420.4	სკოლა აშენებულია ხის მასალით, რიგ ადგილებში ხის მორებს შორის სიცარიელეა, სახურავზე ფიცრები ჩამოშლილია, საპირფარეშოებს კედლებზე აღენიშნება ბზარები, სკოლას ელექტროენერგია მიეწოდებოდა ნაწილობრივ (ელექტროენერგიით არ მარაგდება ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტროობის ავტომატური გათიშვის სისტემები). პასუხისმგებელი პირის განმარტებით მიმწოდებელმა ხარვეზები ნაწილობრივ გამოასწორა აუდიტის მიმდინარეობისას.
3	NAT200016192	სოფელ საკრამულის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა	80.6	სველ წერტილზე შესასვლელ კედელს აღენიშნება მკვეთრი ბზარი, სხვა კედლებზე მასიურად ჩამოშლილია ფითხი.
4	CMR190141918 NAT200007128	სოფელ ზანდუკის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია	96.7	ფასადი და შიდა კედლები დაზიანებულია, ჩამოცვენილია ფითხი. ერთ ადგილზე აღინიშნება ჭერიდან წყლის ჩამოსვლის კვალი, რაც წარმომადგენლის განმარტებით, გამოწვეულია ძველი სახურავის დაზიანებით.
5	NAT200017000	ქ. დუშეთში, №2 საბავშვო ბაღის შენობების რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა	680.5	სხვადასხვა ოთახში კედლებს აღენიშნება ზედაპირული ბზარები.
6	CMR200101468 NAT190025215	ქ. დუშეთში, მწითურის ქუჩის და 3 ჩიხის კაპიტალური შეკეთება	167.0	გზას მწითურის ქუჩაზე და გზებს 2 ჩიხში, აღენიშნება ბზარები.
7	CMR200137664	დუშეთში, №2 საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა	81.0	6 ონკანი გატეხილია და 3 საპირფარეშო არ ფუნქციონირებს.
8	NAT200006582	სოფელ მალაროსკარის საბავშვო ბაღის მშენებლობა	221.7	კედლებზე აღინიშნება ზედაპირული ბზარები. ერთი ფანჯრის დახურვა გართულებულია. სველი წერტილი მოწყობილია ხარვეზებით, ხელსაბანები არ არის მოწყობილი ბავშვების სიმაღლეზე.

9	NAT190009285	სოფელ მადაროსკარში სკოლა-პანსიონის რეაბილიტაცია	360.5	დაზიანებულია რამდენიმე კარის ჩარჩო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ჩარჩოები დაზიანებულია ბავშვების მიერ; ასევე ნესტისგან დაზიანებულია კედლები.
10	NAT200016327	სოფელ ლამოვანის საჯარო სკოლის სველი წერტილების მოწყობა	75.9	საქვებში ტუმბოები არ მუშაობს, რის გამოც წყალი სველ წერტილებს არ მიეწოდება, სარინელი დაზიანებულია.
11	CMR200124317	სოფელ ოძისში, საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა	120.5	გათბობის რადიატორების განლაგება არასათანადოდაა მოწყობილი სპორტდარბაზში. ასევე სასკოლო დერეფნებში რადიატორების ნაწილი არაა დამონტაჟებული ბეტონის კედლებზე და დამაგრებულია ხის მასალით. არ ფუნქციონირებს საქვებზე, სარინელი დაზიანებულია.
12	NAT210017165	დაბა ჟინვალში, მინი-სტადიონის რეაბილიტაცია	52.3	ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, მინდვრის ხელოვნური საფარის ზედაპირი რამდენიმე ადგილას არ იყო სწორი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა და სრულად აანაზღაურა სამუშაოების ღირებულება. ობიექტის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ მას კვლავ აღენიშნება ხარვეზები და სტადიონის საფარი ჩაწეულია.
13	CMR200076883	სოფელ ბენიანბეგონში სასმელი წყლის მოწყობა	22.2	მიწები დაზიანებულია. მერის წარმომადგენლის განმარტებით, ობიექტი არსებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების (კობი-ქვეშეთის გვირაბის მშენებლობა) შედეგად დაზიანდა. აუდიტის მიმდინარეობისას სასმელი წყლის ქსელი აღდგენილია და მოსახლეობას მიეწოდება წყალი.
14	NAT200002450	სოფელ ჭართალში, საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა	86.3	წყალი არ მიეწოდება სველ წერტილებს.
15	NAT200010623	სოფელ ჭოპორტის საბავშვო ბაღის შენობის შეკეთება და ეზოს კეთილმოწყობა	85.7	დაზიანებულია ერთი ოთახის კედლები და იატაკი. მერიის წარმომადგენლის განმარტებით, დაზიანება გამოწვეულია იმის გამო, რომ ოთახის მომიჯნავე მხარეს, ეზოში დგება წყალი.
16	NAT210008376	ქ. დუშეთში, კობიაანთ დასახლებაში მინი- სტადიონის რეაბილიტაცია	45.3	დაზიანებულია ხელოვნური საფარი.
17	NAT210022634	ქ. დუშეთში, მდინარე დუშეთის ხეზე საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია	11.1	ხიდის რკინის კონსტრუქციებს აღენიშნება კოროზია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აუდიტის მიმდინარეობისას მერიამ მიმართა მიმწოდებელს ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნით და დაზიანება გამოსწორდა.
ჯამი			3,711.1	

დანართი №2.

არასათანადოდ ჩატარებული ბაზრის კვლევა

№	შესწავლის შედეგი	შესყიდვის ნომრები
1	მერიას არ აქვს მოკვლეული ინფორმაცია ბაზრის კვლევის შესახებ, 13 სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში.	NAT190025454, NAT200001618, NAT200005832, NAT190021704, NAT190021705, CMR190199745, CMR 200114474, CMR190157030, CMR190135532, CMR190204195, CMR190204193, CMR190204192, CMR200152734.
2	მუნიციპალიტეტს მოთხოვნა ბაზრის კვლევაზე გაგზავნილი აქვს მხოლოდ 1 კომპანიისთვის, 33 შესყიდვის შემთხვევაში.	NAT190017583, NAT200020085, NAT210014478, NAT210022963, NAT210024055, NAT200011002, NAT210000295, NAT210000298, CMR200062684, CMR200063111, CMR200084323, CMR210127847, CMR210145881, CMR190141918, CMR190135533, CMR190135538, CMR190178573, CMR200101468, CMR200083277, CMR200093322, CMR200098003, CMR200111980, CMR200116420, CMR200122021, CMR200129858, CMR210086853, CMR210092374, CMR210094628, CMR210105220, CMR210108252, CMR210108647, CMR210108645, CMR210111086.
3	მერიამ 6 შემთხვევაში მოთხოვნა ბაზრის კვლევაზე გაგზავნა 2 ან მეტი კომპანიისთვის და პასუხი მხოლოდ ერთისგან მიიღო ან/და საერთოდ არ მიუღია.	NAT210000774, CMR200151594, CMR 200124318, CMR 200124317, CMR 200137664, CMR210120316.

დანართი №3.

საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზები (ათასი ლარი)

№	სამუშაოს დასახელება	შესყიდვის ნომერი და საპროექტო ორგანიზაცია	სამუშაოს ღირებულება	პროექტის ხარვეზი
1	ჯულისის ხეზე საავტომობილო ხიდის მოწყობა	NAT180014143 შპს „პროჯექტ კომპანი“	293.6	რიგი სამუშაოები არ იყო პროექტში გათვალისწინებული (ბურჯების საძირკვლის მოწყობა, საკარადე კედლის არმატურა, ბეტონი და სხვ.).
2	№2 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა	NAT190021705 შპს „ლ.დ. იუნიონ“	708.8	ხარჯთაღრიცხვაში არ იყო გათვალისწინებული სხვადასხვა აუცილებელი სამუშაო ბორდიურებთან, ფილაქნებთან, ფასადთან და კანალიზაციასთან დაკავშირებით.
3	სოფელ შატილში სკოლის მშენებლობა	CMR190199745 შპს „პარვუს ქონსალთინგი“	1,600.6	ხარჯთაღრიცხვაში გამორჩენილია საძირკვლის მოწყობა, დამიწების კონტურის მონტაჟი, სახურავის ქვედა საფარის მონტაჟი და ა.შ.
4	№3 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია	NAT190021705 შპს „ლ.დ. იუნიონ“	832.7	გამორჩენილია სამუშაოების ნაწილი, ასევე ცალკეული სამუშაოების პროექტის შესაბამისად შესრულება, რაც შენობის მდგრადობას უქმნიდა საფრთხეს.
5	№1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა	NAT190021705 შპს „ლ.დ. იუნიონ“	616.5	შესაცვლელი იყო სახანძრო კიბის კონსტრუქციული და გათბობის სისტემის ნახაზები, მოცულობები, შიდა სათავსოების პროექტი, ფასადის, სანტექნიკური და ელექტროსამუშაოების მოცულობები.
6	სოფლების: ანანურის და ციხისძირის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	CMR180163502 შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“	59.3	ნახაზზე მითითებული კოორდინატები არ ემთხვეოდა სათავე ნაგებობის მოწყობის ადგილს.
7	სოფელ არაგვისპირში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია	NAT190007915 შპს „ჰიდრო“	2,524.3	სამი ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები ამოსაღები იყო პროექტიდან; პროექტში გამორჩენილი იყო მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა და ა.შ.
8	სოფელ ბულაჩაურის საჯარო სკოლაში სველი წერტილების მოწყობა	CMR200084323 შპს „სტუდია არქი“	101.9	პროექტით გათვალისწინებული იყო ისეთი მასალების გამოყენება, რომელიც აქვეითებს სიმყარეს.
9	სოფელ ბაზალეთში დევნილთა დასახლებისკენ მისასვლელი გზის/ეზოების მოასფალტება	NAT200005231 შპს „გზამკვლევი 2001“	700.5	საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იყო, აკლდა პროექტის გარკვეული ნაწილები, გზის საფარის მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის მიხედვით იყო უფრო ნაკლები, ვიდრე არსებული მდგომარეობა.
10	სოფელ მაღაროსკარში საბავშვო ბაღის მშენებლობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ნაჩუქარი პროექტი	230.1	ადგილზე არსებული სიტუაცია და პროექტი არ ემთხვეოდა ერთმანეთს; პროექტში გათვალისწინებული არ იყო სხვადასხვა არსებითი სამუშაოები (გამორჩენილი იყო სამზარეულოს გამწოვები, გათბობის ქვაბი, მოედანზე საფარის მოწყობა, სახანძრო უსაფრთხოების სამუშაოები და სხვ.).

დანართი №4.

დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული ობიექტები (ათასი ლარი)

№	შესყიდვის ნომერი	პროექტის დასახელება	ღირე ბულ ება	შესყიდვის თარიღი	ობიექტის მდგომარეობა
1	NAT200014315	სოფელ ანანურის სასმელი წყლის რეაბილიტაცია, ჭაბურღილის მოწყობა	133.0	23.04.2021	ჭაბურღილი მოწყობილია, თუმცა არ მოდის სუფთა წყალი და მოსახლეობის მიერ არ გამოიყენება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მერიამ ჩაატარა წყლის მიკრობიოლოგიური ანალიზი და დაგეგმილი აქვს ქიმიური კვლევის ჩატარება. აუდიტის მიმდინარეობისას, მერიამ ჩაატარა წყლის ბიოლოგიური და ქიმიური ანალიზი. აუდიტის ობიექტი აპირებს ექსპერტიზის ჩატარებას, რათა შეაფასოს წყლის სისტემის შემდგომი გამოყენების საკითხი.
2	CMR210136480	სოფლების: ნაგლიანთკარის და ყარსიშანთკარის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	36.7	17.12.2021	დათვალიერების თარიღისთვის სასმელი წყალი არ მიეწოდებოდა სოფელს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ელექტროენერგიის დაგვიანებით მიწოდების გამო, დაზიანდა ობიექტი.
3	NAT210010472	სოფელ პეტრიანში წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა	192.5	15.02.2022	დათვალიერების თარიღისთვის სასმელი წყალი არ მიეწოდება სოფელს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ელექტროენერგიის დაგვიანებით მიწოდების გამო, დაზიანდა ობიექტი.
4	NAT210019776	სოფელ ლაფანანთკარის ამბულატორიის მშენებლობა	47.2	15.06.2022	ობიექტზე ინვენტარი არ არის, დათვალიერების თარიღისათვის ობიექტი არ ფუნქციონირებდა. აუდიტის მიმდინარეობისას განხორციელდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები და ამბულატორია გადაეცა ჰოლდინგს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამბულატორიის შენობის აღჭურვა და ფუნქციონირება.
5	CMR200111980	სოფლების: ოძისის, ბაქაქურების, ილტოხის სარიტუალო დარბაზების მოწყობა	24.0	25.11.2020	ობიექტზე ინვენტარი არ არის, დათვალიერების თარიღისათვის ობიექტი არ ფუნქციონირებდა.
6	CMR210151526	სოფლების: ნანიანების და ქარაულების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	32.6	05.08.2022	ობიექტი არ ფუნქციონირებს. მიწა, სადაც მოეწყო ავზი, არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრება, რის გამოც ვერ ხერხდება ობიექტის ელექტრომომარაგება. აუდიტის მიმდინარეობისას განხორციელდა წყლის რეზერვუარის ტერიტორიის

დანართი №5.

მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული და ამოუღებელი ჯარიმები (ათასი ლარი)

მიმწოდებელი	ტენდერის ნომერი NAT/CMR	ხელშეკრუ- ლების რაოდენობა	2020 წლამდე პერიოდისთვის	2020- 2021 წლები
ი/მ ჰ.მ.	CMR190111897 CMR190111909	2	0,9	-
ი/მ გ.გ.	CMR210155269	1	*	1,4
ი/მ გ.ჭ.	CMR190160851 CMR190160855 CMR190160856 CMR190160857	4	2,1	-
ი/მ ვ.ს.	CMR190117908 CMR190117911 CMR190117912 CMR190117914	4	2,4	-
ი/მ ნ.გ.	CMR190139769 CMR200000784 CMR200000786	3	3,2	-
ი/მ ნ.წ.	CMR200116037	1	-	0,7
ი/მ გ.ხ.	CMR200116035 CMR200116036	2	-	2,9
შპს „მშენებელი 2020“	NAT200005173	1	-	1,4
შპს „პლაზმა“	NAT190009285	1	67,9	-
შპს „სატრანსპორტო სამშენებლო კომპანია“	NAT190025215	1	-	18,7
შპს „ტექნოკონსტრუქციები“	CMR190141918 CMR190160392 CMR190160393 CMR190160397 CMR190162209 CMR190178573	6	20,9	-
შპს „არაგვი“	CMR200132154	1	-	0,9
შპს „ზ.ნ.ს.“	CMR200088732 CMR200101817 CMR200101819 CMR200101820 CMR200113482 CMR200124369 CMR200129568	7	-	15,5
შპს „თნ გრუფი“	CMR190204192 CMR190204193 CMR190204195	3	18,4	-
შპს „ამ ჯორჯია“	NAT200002451	1	-	10,2
შპს „ბარსი“	NAT190022119	1	8,8	-
შპს „ბოლნისი 2019“	CMR190145240	1	5,5	-
შპს „ელიტ ბილდერს გრუპი“	NAT200012871	1	-	82,8
შპს „ზე-ემეს ჯგუფი“	NAT200012207	1	-	7,1
შპს „ინფრასტრუქტურა და გზები“	NAT210020078	1	-	17,6
შპს „საოცნებო სამყარო“	CMR210101289	1	-	0,4
შპს „სინერჯი სისტემს“	NAT200006531 NAT200006532	2	-	93,6
სულ:		46	130,1	253,2

დანართი №6.

2020-2021 წლებში ავტომობილებში ერთჯერადად ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები (ლიტრი)¹⁴⁵

№	ავტომანქანის მარკა	სახ. ნომერი	დრო	თარიღი	ავზის მოცულობა	ჩასხმული საწვავი
1	HONDA	BB585CC	07.04.2020	10:53:56	60	70.00
2	MERCEDES-BENZ	BG178GB	22.12.2020	13:25:57	60	80.00
3	MERCEDES-BENZ	BG178GB	09.09.2020	17:30:45	60	80.00
4	TOYOTA	II508JI	27.05.2020	14:24:36	50	130.00
5	TOYOTA	II508JI	29.10.2020	17:22:32	50	110.00
6	LAND ROVER	KM866MK	02.06.2020	11:21:31	60	80.00
7	MERCEDES-BENZ	MA277IA	07.07.2020	18:47:44	70	78.00
8	NISSAN PATHFINDER	SS482VV	05.02.2020	10:47:49	65	130.00
9	WOLKSWAGEN	VC498CV	04.11.2020	16:37:19	55	80.00
10	TOYOTA	BI777TA	31.01.2020	11:45:26	65	80.00
11	MITSUBISHI	UDU628	22.04.2020	15:51:01	50	80.00
12	MITSUBISHI	UDU628	23.04.2020	16:00:55	50	80.00
13	MITSUBISHI	UDU628	25.08.2020	17:05:52	50	61.00
14	MITSUBISHI	UDU628	15.12.2020	15:46:58	50	71.00
15	MITSUBISHI	UDU628	24.12.2020	13:09:37	50	69.00
16	BMW	ST485SS	27.12.2021	11:13:49	70	80.00
17	SKODA	AO993AA	26.08.2021	10:05:55	55	65.00
18	MERCEDES-BENZ	BG178GB	22.06.2021	14:10:03	60	80.00
19	MERCEDES-BENZ	BG178GB	07.10.2021	13:34:57	60	110.00
20	MERCEDES-BENZ	BG178GB	06.09.2021	16:23:47	60	75.00
21	MITSUBISHI	UDU628	22.01.2021	17:11:13	50	75.00
22	LAND ROVER	KM866MK	17.12.2021	10:05:36	60	125.61
23	LAND ROVER	KM866MK	09.11.2021	11:27:12	60	100.00
24	LAND ROVER	KM866MK	19.10.2021	12:16:28	60	110.00
25	LAND ROVER	KM866MK	13.09.2021	12:37:43	60	100.00
26	MERCEDES-BENZ	MA277IA	23.02.2021	18:36:43	70	80.00
27	MERCEDES-BENZ	MA277IA	15.10.2021	17:56:27	70	95.00
28	MERCEDES-BENZ	MA277IA	13.09.2021	12:29:38	70	82.00
29	NISSAN PATHFINDER	SS482VV	05.06.2021	10:32:23	65	76.00
30	MERCEDES-BENZ	QG425GQ	16.03.2021	14:15:02	65	110.00
31	MERCEDES-BENZ	UU454EE	08.05.2021	15:57:05	60	72.00

¹⁴⁵ აუდიტის ჯგუფის მიერ განხილულია ავზის მოცულობაზე ერთჯერადად 5 ლიტრით ან მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები.

32	MITSUBISHI	EE620WW	25.05.2021	16:43:46	50	75.00
33	MITSUBISHI	EE620WW	22.06.2021	17:07:01	50	85.00
34	MITSUBISHI	EE620WW	23.07.2021	18:57:29	50	76.00
35	MITSUBISHI	EE620WW	11.08.2021	13:23:49	50	75.00

დანართი №7.

2020-2021 წლებში ავტომობილებში დროის მოკლე მონაკვეთში ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები (ლიტრი)¹⁴⁶

№	ავტომანქანის მარკა	სახ. ნომერი	დრო	თარიღი	ავზის მოცულობა	ჩასხმული ლიტრები	მოკლე მონაკვეთში ჯამურად ჩასხმული
1	BMW	DV001CH	08.10.2020	16:12:48	80	55	90
2	BMW	DV001CH	08.10.2020	16:20:45		35	
3	NISSAN PATHFINDE R	SS482VV	01.10.2020	09:09:55	65	50	81
4	NISSAN PATHFINDE R	SS482VV	01.10.2020	09:10:23		30.99	
5	MITSUBISHI	VV358MV	14.01.2020	17:01:35	65	55	75
6	MITSUBISHI	VV358MV	14.01.2020	17:03:10		20	
7	HONDA	NN041OO	10.07.2020	09:14:31	60	40	90
8	HONDA	NN041OO	10.07.2020	09:18:47		50	
9	MITSUBISHI	UDU628	15.09.2020	15:57:58	50	10	64
10	MITSUBISHI	UDU628	15.09.2020	15:59:42		54	
11	MITSUBISHI	UDU628	24.12.2020	13:04:06	50	50	119
12	MITSUBISHI	UDU628	24.12.2020	13:09:37		69	
13	MITSUBISHI	UDU628	25.08.2020	17:02:14	50	10	71
14	MITSUBISHI	UDU628	25.08.2020	17:05:52		61	
15	BMW	ST485SS	27.12.2021	11:13:49	70	80.00	150
16	BMW	ST485SS	27.12.2021	11:21:47		70.00	
17	LEXUS	XX609YY	07.09.2021	15:14:05	65	50.00	80
18	LEXUS	XX609YY	07.09.2021	15:24:02		30.00	
19	SUZUKI	CC506W W	11.10.2021	12:36:36	60	65.00	75
20	SUZUKI	CC506W W	11.10.2021	12:59:35		10.00	

¹⁴⁶ აუდიტის ჯგუფის მიერ განხილულია დროის მოკლე მონაკვეთში ავზის მოცულობაზე 5 ლიტრით ან მეტი ოდენობით ჩასხმის მაგალითები.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE